კვირა, ოქტომბრის 20

1918 წელი

№ 6.

**დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.**

ფასი 70 კაპ.

ყოველ-კვირეული
გაზეთი „კლდე" გამოცემა
დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის
მთავარი კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციისა
გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქციით

გაზეთის ფასი 1918 წლის დამლევამდე 10 მანათი, ცალკე ნომერი 70 კაპ.
განცხადებათა ფასი მორიგებით.

რედაქციის ადრესი: თბილისი იზმაილოვის ქუჩა, № 27, ს. № 3. ტელეფ. № 22.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 11 საათიდან 2 საათამდე.
კონტორაში (გაბაანთ შესახვევი № 3, შკოლის შესავალი).

შინაარსი.

მეთაური. პარტიის კონფერენცია.
გ. ვეშაპელი. ეროვნული ომი. (ნაციონალისტის მრწამსი)
რ. გაბაშვილი. ი. წერეთლის ფინანსური მოსაზრებანი.
შ. ქარუმიძე. სამშობლოს დაცვა და ჩვენი პარტია. II.
ნ. მაღალაშვილი. საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის ისტორიიდან. III
გიორგი მაჩაბლის წერილი ვენიდან.
მიხეილ მაჩაბლის სიტყვა მიწის საკითხზე.
ი. მამულ—ი: მეფე ვახტანგი (ლექსი)
ქართული პრესა: საქ. დეპეშათა სააგენტო ს. ფედერალისტების კონფერენცია
პატარა ფელეტონი: „ძლვნად".
მეურნეობის კრიზისი კახეთის სახელმწიფო მამულები.
ქართული ლატარიის გამო.

**საქართველოსა და გერმანიის ეკონომიური ხელშეკრულებანი, ფოთსა და ბერლინში დადებული.**

თბილისი, ღვინობისთვის 20

## პარტიის კონფერენცია

პროვინციიდან შეკითხვები მოგვდის: ნიშნავს თუ არა ერ.-დემ. პარტიის მთავარი კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციის გაყოფა საბოლოო გაყოფას მთელი პარტიისას?

ჩვენ თავიდანვე ვწერდით ამის შესახებ, რომ უკანასკნელი ინსტანცია, რომელიც გარდასწყვეტს, თუ რომელი კომიტეტის მიმდევარი არის მთელი პარტია—უნდა იყვეს კონფერენცია.

მხოლოდ კონფერენცია გამოარკვევს, თუ ვინ არის პარტიაში მეუმრავლესე, და ვინ არის მეუმცირესი.

მხოლოდ კონფერენცია გამოარკვევს, შესაძლოა თუ არა ერთ პარტიაში ორგანიზაციულად და პოლიტიკურად ერთად მოქმედება იმ პარტიულ მიმართულებათა, რომელთა წარმომადგენელია ერთის მხრით „კლდე" და მეორეს მხრით „საქართველო".

ყოველს შემთხვევაში, მხოლოდ კონფერენციის შემდეგ შეიძლება ცალ-ცალკე სრულ პარტიულ ორგანიზაციად ჩამოყალიბება პარტიის ორივე მიმართულებისა, როგორც თბილისში, ისე პროვინციაში.

ამიტომ, ამ ჟამად ჩვენი ლოზუნგი არის ერ. დემ. პარტიის მესამე კონფერენციის მოწვევა, მხოლოდ იმ აუცილებელი პირობით კი, რომ პარტიის დამოუკიდებელ საპარლამენტო ფრაქციას, კომიტეტს და მის თანამოაზრე წევრთ პარტიისას, სრული გარანტია ჰქონდეთ მთავარ კომიტეტის დღევანდელი უმრავლესობისაგან კონფერენციის ნორმალური, კანონიერი მოწყობისა და მუშაობისა.

თუ საერთო ერ.-დემ. პარტიის კონფერენცია ამ გვარად არ შედგა მოკლე ხანში, მაშინ დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიული მთავარი კომიტეტი და საპარლამენტო ფრაქცია ყოველ ღონეს იღონებს, რათა დაუყონებლივ მოიწვიოს ცალკე, „დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის" დამფუძნებელი კონფერენცია.

ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენ თანამოაზრეთ, განსაკუთრებით პროვინციაში მზად იყვნენ კონფერენციისათვის.

## ეროვნული ომი

### (ნაციონალისტის მრწამსი) *)

ორი ძალა, ორი იდეა იბრძვის დღეს საქართველოში, ისე როგორც მთელს დედამიწაზე: ერთია ნაციონალიზმი, მეორე სოციალიზმი.

სოციალიზმი არის იდეა კლასობრივი, წოდებრივი ბრძოლისა, ნაციონალიზმია იდეა ეროვნული ბრძოლისა.

ნაციონალიზმი, როგორც ცხოვრების ძალა ყოველგან ბევრად ძლიერია სოციალიზმზე, მაგრამ ნაციონალიზმი, როგორც იდეა, როგორც მრწამსი, სხვა სახელმწიფოებში თუ არა, ჩვენს ქვეყანასა, საქართველოში მაინც, ნაკლებ ცხადია, ნაკლებ პოპულიარია, ვიდრე სოციალიზმის მცნებანი.

ამ წერილის მიზანი ნაციონალიზმის დებულებათა, თეზისების სოციალისტურ სისტემასთან დაპირდაპირება არის, ეს თუნდაც ნაციონალისტური პატარა მანიფესტი იყოს.

—

რა არის ნაციონალიზმი?

ნაციონალიზმი პირველ ყოვლისა ფაქტია, სინამდვილე. და ნაციონალიზმის ფაქტი ეყრდნობა ისეთ ძალას, როგორიც არის პატრიოტიზმი, მამულისმოყვარულობის ალღო. პატრიოტიზმი რომ ალღოა, ინსტინქტი, ეს კარგად აქვს აღწერილი ერთს ბიოლოგს, ხ. სპენსერს.

პატრიოტიზმი - ეროვნული დამთავრებაა იმ ძირითად ინსტინქტისა, რომელსაც თავ-დაცვის ინსტინქტი ჰქვიან, და რომელიც გაჭირვების დროს ათქმევინებს ხოლმე ადამიანს: „ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო"... ამის მერე ადამიანი კი ჯერ სახლეკაც მოყვარეზე ზრუნავს, და მერმე კი თავის ტომის, თავის ერის ყველა წევრზეო.

მამულიშვილური ეროვნული ალღო არის შედეგი იმ ბრძოლისა, რომელიც უხდება ადამიანს ბუნებასთან თავის არსებობისათვის: ადამიანი მრავლდება: ადამიანს და მის ოჯახს უნდა სარჩო; ადამიანი ებრძვის ბუნებას; ბუნებასთან ბრძოლაში, როგორც ყველამ იცის, უფრო ძლიერი იმარჯვებს, რჩეული, ასე მხეცებშიც.., მაგრამ ადამიანმა შექმნა ის, რაც არ აქვთ მხეცებს: საზოგადოება, ერი, რომლის მიზანია ერთი სისხლის, ერთი ტომის საერთო ძალით ბრძოლა ბუნებასთან საზოგადოებ, ერი აჰპევს ღონიერსაც და სუსტსაც... ერის მიზანია, რაც შეიძლება მეტი ხალხის გადარჩენა სიმშილისგან .. მაგრამ ეროვნულ კავშირის შეძლებასაც აქვს საზღვარი: ადამიანი უფრო მეტად მრავლდება, ვიდრე ამის ატანა შეუძლია მიწის მოსავალს, რომელიც კიდეც კლებულობს, არა თუ მატულობს; იწყება გაჭირვება; ერმა ან უნდა ახალი სარჩო გამონახოს, ან და, როგორც ამას სოციალისტები ქადაგობენ, ერის შიგნით უნდა დაიწყოს ბრძოლა ლუკმა-პურის წასართმევათ იმათთვის, ვისაც ყაირათობით მოუგროვებია და მერე როცა, თავ-შენახულთა ქონებაც შეიჭმება, მაინც შიმშილი უნდა დაიწყოს... ან და ერმა უნდა გარდაიხედოს მეზობლებისაკენ, გამოარჩიოს მათში სუსტი და მოიპოვოს ახალი სარჩო, ან იმით, რომ საძოვარი, ყანები წაართვას, ან იმით, რომ სუსტ მეზობელს ხარკი დაადოს და ამით დაპყრობილნი მონებათ აქციოს, რომ მებატონე ერს სარჩო უკეთონ და უზიდონ.

თუ ერი გადაგვარებული არ არის ხორცითა და სულით და თუ მას ჰკვიანი წინამძღოლები ჰყავს, ამ ორთა შუა არჩევანში, შიგნით ერთმანეთის დაჭმას, გარეშე ხალხთან ბრძოლას ამჯობინებს; თუ მარტო ბუნებასთან ბრძოლა არ კმარის და სარჩო ან მიწა ადამიანს უნდა გამოგლიჯო ხელიდან, განა უცხო, უნახავ, უცნობ ადამიანებთან ბრძოლა უფრო ადვილი არ არის, ვიდრე შენს ნათესავთან ან თვისტომთან, რომელსაც ყოველ დღე ჰხვდები ცხოვრებაში?...

უძველესი კლასიკური მაგალითი მეზობელი ხალხთან სარჩოსათვის ბრძოლისა, არის მთიელ ტომთა ომი ბარელებთან: თუ მთიელი ხალხი ისე გამრავლდა, რომ ხრიოკმა მთამ ვეღარ შეინახა, ის ყოველთვის ნაყოფიერ ველებს შემოესევა დასაპყრობათ.

ერის გულადობასა და ტემპერამენტზე ჰკიდია, თუ როდის დაიწყებს გამრავლებული ხალხი მიწისათვის ბრძოლას: რაც უფრო დაწინაურებული და განვითარებულია ერი, მით უფრო გულით ემბება იგი ომში: მხოლოდ ჩინეთისთანა ჩამორჩენილ ქვეყნებში ემონება ხალხი თავის ბედს და „ეშმაკებთან" (ასე ეძახიან ჩინელები უცხოელებს) ბრძოლის მაგიერ, ერთი მუჭა ფლავით რომ კუჭი არ გაუხმეს, ქამრის მოჭერით თავის საკუთარ მუცელს ებრძვის!..

თუ როგორ იბრძვიან მიწისა და მზის სიმდიდრის გადასანაწილებლად ჯან-საღი კულტურული ერები, ამას ის ომი გვიმტკიცებს, რომელიც აქვს დღეს გერმანიას საფრანგეთ-ინგლის-ამერიკასთან. ასეთი ომები იყო „ჯვაროსანთა" ლაშქრობაც აზიაში მიწისათვის!

ამაზე უფრო დიდი ომი საშუალო საუკუნეების დამლევს იქნებოდა, მაშინ რომ ახალი ქვეყანა არ აღმოეჩინათ, და ევროპის ყველა სახელმწიფოთ, ზედმეტი უმიწო, უსარჩო ხალხი ამერიკის ტერიტორიაზე არ გადახიზნულიყო.

ხან-და-ხან მეომარ ხალხთა ძალები თანასწორი აღმოჩნდება: მაგრამ მაშინაც ხანგრძლივ ომს თავისი სარგებლობა მოაქვს: გამრავლებულ ერებს იმდენი ზედმეტი ხალხი აკლდებათ ბრძოლითა და ეპიდემიით, რომ რამდენიმე ხანს კიდევ სძლებენ თავიანთ სახელმწიფო საზღვრებში: (ასეთია დღეს გერმანიისა და ინგლისის ომი)... მაგრამ ომი ხომ ძმვიდობიანობის დროსაც არის... თვით ომი მხოლოდ იმ ანგარიშების გასწორებაა ბუნებასთან, რომლის ხარჯზე ერი სცხოვრობდა ზავის დროს: და ვაი იმ ერს, რომელიც ზავის დროს არ ემზადება ომისთვის და ფიზიკურ — ეკონომიურ — კულტურულ ღონეს არ იკრებს.

ლოღიკური კამათით, ხელოვნური შეთანხმებით, მედიატორობით მხოლოდ უმნიშვნელო საქმეები სწყდება... მაგრამ დავა ისეთ საგანზე, როგორიც არის პოხიერი, მსუქანი საძოვარი, მდიდარი ნახშირისა ან ოქროს მადენი, ან ღრმა ნავთსადგური, ყოველთვის სისხლითა და რკინით სწყდება.

ხალხმა, უმრავლესობამ იცის, რომ ომი აუცილებელი მოკლვაა, მაგრამ თავდაცვის ალღოს, პატრიოტიზმს ხალხში სძინავს, სანამ მტერის შემოსევის უბედურება არ მოახლოვდება და ყველასათვის დასანახი არ გახდება: რაც უფრო დიდია სახელმწიფო, მით უფრო გვიან იგებს ხალხი სამშობლოს გასაჭირს. მხოლოდ ზედ საზღვრებზე მცხოვრები ხალხი ხედავს მუდამ მტრის საფრთხეს და მისთვის ადვილიცაა სახნისის გაცვლა ხმალზე: სახელმწიფოს შუა-გულში კი ხალხს მხოლოდ სამშობლოს დიდი გაჭირვება, ჯარის კატასტროფა, აყენებს მთლად ფეხზე.

ეს იმიტომ არის, რომ ხალხის უმრავლესობა ფიზიკური მუშა-ხელოსანია და გონებრივადაც თავის ხელ-საქმის ვიწრო ფარგლებში ცხოვრობს; ეს ხალხი იმაზე მეტს არ მოულობს, რაც გამოსაკვებად არის საჭირო, მას ყველაზე უფრო მხოლოდ პურის საკითხი აინტერესებს; ამიტომ ხალხის უმრავლესობა უფრო შინაური, ადგილობრივ-პროვინციული, საერთოდ სამოქალაქო საქმეები უფრო იცის; საგარეო, საერთაშორისო საქმეები კი მას არ აინტერესებს და არც ესმის, რა ხდება საზღვარ-გარედ; ამიტომ არის რომ პროლეტარიატი გულგრილობას იჩენს ხოლმე ომის წინ უცხო ხალხის მიმართ!

ერის პოლიტიკა დარაჯად უდგას გონების არისტოკრატია, ინტელიგენცია, ხელმწიფებისათვის, დაბადებული. მას მიყავს წინ ხალხი; ეს ინტელიგენცია არის ნალები ძველი სამხედრო წოდებისა („თავად-აზნაურებისა") და ახალ ბურჟუაზიულ კლასისა („კაპიტალისტებისა") ამ ორი წრის ნალექია ის ინტელიგენცია, რომელიც არის ერის სამეურნეო და სახელმწიფო ცხოვრების ორგანიზატორი, რომელიც იმდენათ უზრუნველყოფილია, რომ პურზე კი, არა მთელი ერის ბედზე ფიქრობს: ამ გონების არისტოკრატებს მემკვიდრეობით სდევს იმის ნიჭი, რომ კაცობრიობაში ადამიანთა კრებული კი არა, მებრძოლი ერები და ტომნი დაინახონ და ამიტომაც ამათ მიჰყავს სახელმწიფო გემი საერთაშორისო ზღვაზე, და ვინც უნდა აირჩიოს ხალხმა სახელმწიფოს მართველად, სულ ერთია, ის ყოველთვის გონების არისტოკრატიის საქმეს მიჰყვება თავის პოლიტიკაში. ეს პატრიოტული ინტელიგენცია არის, რომ ამზადებს ერს ზავის დროს თავის დაცვისათვის: პატრიოტმა იცის, რომ მისი სამშობლოსა და მეზობელ ერების შორის უნდა არსებობდეს ძალთა სწორწონაობა, პატრიოტმა იცის, რომ მისი სამშობლოს ძალები სულ ნაკლები უნდა უდრიდეს მაინც ყველა მოქიშპე ერთა ძალას, თორემ მას დაიპყრობენ. პატრიოტულმა ინტელიგენციამ ისიც იცის, რომ მტრის გამრავლება, გამდიდრება და განათლება მტრის მრავალ-რიცხოვან, მოწყობილ, დაპურებულ, ნასწავლ, მხნე ჯარს ნიშნავს და ამიტომაც, როცა იგი ზრუნავს ერის ფიზიკურ, ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაზე, იგი ყოველივე ამას უქვემდებარებს სახელმწიფო დაცვის საქმეს; რადგან მხოლოდ ამით შეიძლება ერის გამარჯვება ომის განკითხვის ჟამს. სულ ერთია, იქნება ეს ომი იძულებული თავ-დასხმა, თუ თავდაცვა! ვინაიდან ეროვნულმა ომმა შებრალება არ იცის: როცა ერთი ხალხი მეორეს თავს ესხმის ან დათესავს ცვავს, ის ისევე ექცევა მტერ ხალხს, როგორც ექცევა ხოლმე მხეცი სხვა ჯიშის მხეცს...

**გრიგოლ ვეშაპელი.**

*) ლექციად იყო წაკითხული შარშან ბათომში. იბეჭდება პირველად.

## ირაკლი წერეთლის „ფინანსიური მოსაზრებანი"

ჩვენ არ ვიცით რამდენად მართალია, მაგრამ იმდენად აბსურდულია, რომ ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ ეპოქაში დასაჯერებელია, მით უფრო რომ ეს ამბავი გვამცნო თვით სოციალ-დემოკრატიული საპარლამენტო ფრაქციის ლიდერმა—ირაკლი წერეთელმა.

ეს უცნაური ამბავი ჩვენ სრულიად შემთხვევით გავიგეთ:—როცა კამათი იყო, აწ ფინიშ-ივით უკვდავ, ათ-მილიონიან ფონდის განახლებაზედ და ჩვენი ფრაქცია მოითხოვდა ხუთი მილიონის გადადებას ჯარისათვის,—ბატონმა წერეთელმა ჩვეულებრივი დემაგოგიისა და უტიფარი გალანძღვის შემდეგ, სხვათა შორისა სთქვა, რომ ჯარისათვის „მომარაგების" კომიტეტი ჰყიდის სახელმწიფო ქონებას, ავტომობილებს და სხ. ჩვენ სრულებით არ შევეხებით იმ საკითხს, თუ როგორ შინაურულად აწყობს სოციალ-დემოკრატია სახელმწიფო ქონების გაყიდვას, პარლამენტის დაუკითხავად,—რადგან საკონსტიტუციო დეკრეტი მაინცა და მაინც რა საჭიროა დღეს, როცა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის „ხელთა ტყეს" მიემატა სომხური ტყის ხელებიც,—მაგრამ მიზან შეწონილობას კი ვერ შევეხოთ. სიმპატიური, რომ ეს „ფინანსიური მოსაზრება" გამოვიდა იმავე პირიდან, რომელიც იცავდა გულმოდგინედ 80.000.000 მანეთის მიცემას სომხებისათვის.

მაშინაც აშკარა იყო, რომ ბ-ნ წერეთელს უფრო ეხერხება სამიტინგო ეფექტები, ვიდრე საპარლამენტო სადი მსჯელობა; იგი იცავდა, ალბად დავალებით, იმას, რაზედაც არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა და რასაც მეორე მათი წარმომადგენელი საფინანსო კომისიის თავმჯდომარე, ოფიციალად,—პრესაში, ეძახის „გამოუსწორებელ შეცდომას".

და აი დღეს ბ-ნი წერეთელი გვამცნობს მეორე გამოუსწორებელი შეცდომის გაკეთების ამბავს, მთავრობას უნდა სახელმწიფო ქონების გაყიდვაო. ნუ თუ მართალია ეს? ნუ თუ მართალია, რომ დღეს, როცა ფულს არავითარი ფასი არა აქვს, როდესაც ყველა სცდილობს ფული ქონებად აქციოს, ჩვენი მთავრობა ქონების, რეალურ ღირებულების გადაქცევას აპირობს ქაღალდათ? მერე, როდის მერე რას? წერეთელმა სთქვა: „ავტომობილებს და სხვაო". დღეს, როცა ჩვენ გულუხვად გაუბოძეთ სომხეთს და აზერბეიჯანს ოთხმოც-ოთხმოცი მილიონი მანეთი, როდესაც ეს უამრავი ფული უნდა დატრიალდეს ჩვენს ტერიტორიაზედ და დასცეს ისედაც დაცემული კურსი ფულისა, როდესაც ყველა მატერიალური ქონება საზღაპრო ფასეფში ადის სიმრავლისა გამო,—მთავრობა ჰყიდის ქონებას. ვიზედ, რად? ცხადია, ჩვენი ხალხი, „დემოკრატია", „მასსა" როგორც უყვართ ს. დ. ძესვეურთ—ვერ შეიძენს ავტომობილებს და იგი უნდა ქაღალდის ფასად ჩაუვარდეს ხელში ქართველს ან უფროს შემთხვევაში უცხოელ სპეკულიანტებს და განმტკიცდეს ის შიში, რომელსაც გამოსთქვამდა თავის დროზედ სახელმწიფო კონტროლიორი, რომ გაცემული ოთხმოცი მილიონებით ჩვენ ვუკარგავთ საქართველოს ამდენივე მილიონის რეალურ ღირებულებას. და რასა ვყიდით?—ავტომობილებს! ვყიდით მაშინ, როდესაც ავტომობილი, უბენზინობისა გამო—მკვდარი ინვენტარია. არავინ მასში არ მისცემს ნამდვილ ღირებულობას, რადგან ასეთ დროს, როცა აქ ოტაჟია ფულის ტრიალისა, ავტომობილების გადაყიდვ-გადმოყიდვაზე ადამიანი ბევრს ვერ მოიგებს. მამასადამე მისი ფასი დაბალი იქნება და სახელმწიფო ქონება გაიყიდება იმაზედ იაფად, რაცა ღირს და გადაიცვლება ისეთ ღირებულებაზედ, რომელიც თვითონ არაფრად ღირს. ან ნუ თუ ისეა ჩვენი საქმე, რომ სხვა უფრო გამოუსადეგარი სარჩო არა გვაქვს რა გასასყიდი, ან სხვა ფინანსიური კომბინაციები არ მოეფიქრებათ ჩვენი ქვეყნის გამგებელთ? ნუ თუ სესხი შინაური და გარეშე, ნუ თუ გარდასახადები და ბაჟები, ნუ თუ წარმოების ზოგიერთ დარგის მოწყობა სრულიად სასოწარკვეთილების მდგომარეობაშია, რომ ultima ratio „თავად-აზნაურული" გაყიდვა გახდა? იქნებ იმიტომაც, რომ მთელი ჩვენი ბელადობა—მთავრობა და ს. დ. ფრაქციის ლიდერები—თავად-აზნაურობიდან არის გამოსული?

მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მთავრობა ჩაუფიქრდება ბოლოს და ბოლოს ამ სახიფათო მდგომარეობას და არ აჰყვება გამოუცდელს ქვეყნიურ საქმეებში, ფანტაზიორს, რომლის გამოშვება საპარლამენტო კათედრაზედ, შესაძლებელია, კარგი იყოს, როცა გინდათ ხალხის წინაშე, „ობივატელების" თვალში «დაამარცხოთ» ოპოზიცია, მაგრამ რომელსაც არ ალაპარაკებდნენ არც ერთ პარლამენტში ისეთ საქმეებზედ, რომელზედაც სრულებით არ უფიქრნია რუსეთის ციხეებში, საქართველოს დამოუკიდებლობაზედ, მის ფინანსებზედ და მის ჯარზედ.

სოციალ-დემოკრატიისათვის თუ ეს დასაფიქრებელი არ არის, მთავრობას უნდა მაინც ახსოვდეს, რომ ახალი საფრთხე არ განუმზადოს ისედაც უბედურს სამშობლოს.

**რ. გაბაშვილი.**

## სამშობლოს დაცვა და ჩვენი პარტია.

წინა წერილში *) ვწერდი იმ რეგულიარულ ნაწილებზედ, სადაც იყრიდა თავს ჩვენი ახალგაზრდობა.

მათმა წმინდა პატრიოტულმა ღვაწლმა და იმ სულისკვეთებამ, რომელიც შეიტანეს ჯარში, როგორც მოსალოდნელი იყო, სრულიად შეუმჩნევლად ჩაიარა ჩვენ გაფანატიკოსებულ მოწინააღმდეგეთა თვალში. ჩვენ ამას სრულის სიდინჯით და სიმშვიდით ვუყურებდით და ვუყურებთ დღესაც მიუხედავათ იმისა, რომ ბ-ნი ირაკლი წერეთელი თავის სა-

*) იხილე „კლდე" № 3

უკმდურებს არ იშლის და ეს ჩვენი ახალგაზრდობა მტრის ადგილ განდევნის, ადგილ შეჩერების და ანარქიის ჩაქრობის შემდეგ — ასრულებს ისეთ საქმეს, რომელიც არც ერთ სახელმწიფოში ჯარს არ შეუსრულებია: სოფელ-სოფელ აგროვებს დეზერტირებს, მიტომ რომ ადმინისტრაციას ამის გაკეთება ან არ სურს, ან არა და, ალბათ, მთავრობის თავმჯდომარის სახალხო სახლში გაკეთებულ მოხსენებით ხელმძღვანელობს.

ვიმეორებთ, სრულის სიდინჯით ვუყურებთ ჩვენ ამას, რადგან ვიცით, რომ დრო ასეთია და დროის „რაინდთა" თვისება კი მუდამ ერთგვარი ყოფილა. მათ სექტანტურად სწამთ მხოლოდ თავიანთი საქმიანობა, საქმიანობა „უცოდველო და უშეცდომო" და ამ შეცდომებშიაც ჩაიხრჩობიან. ასეთი არის ამიერიდამ უკუნისამდე სასტიკი, მაგრამ სამართლიანი, მსჯავრი ისტორიული ბედისწერისა. ვაი მხოლოდ ჩვენ, ისედაც სუსტს და მოქანცულს, ქვეყანას რომ ასეთი ექსპერიმენტები ძალიან ძვირად დაუჯდება!

გარდა ახალგაზრდობისა ჩვენი თანამოაზრეთა ფართო წრეებიც მოვიწვიეთ სამშობლოს დასაცველათ. მით უმეტეს საჭირო ხდებოდა ასეთი ზომები, რომ მტერი გარს მოგვადგა და გახულიგანებული ჯარი კი ჰყიდდა ყველაფერს — ცოცხალს და მკვდარს.

ჩვენ იმედი შემდეგ საზოგადოებრივ წრეებზედ გვქონდა დამყარებული: ყოფილი თავად-აზნაურობის ახალ-გაზრდობა, აფიცრობა და მთა, სადაც ჩვენი გავლენა შეურყეველი იყო. ჩვენს იმედს აძლიერებდა ის მოსაზრება, რომ ამ წრეებში იყო და არის ცოცხალი ისეთი თვისებები და მომენტები, რომელსაც აძლევდა სიტყვას ისტორია ჩვენი ბედის გადაწყვეტაში. ეს თვისებები გახლდნენ და არიან დღესაც: — ცოცხალი სამხედრო ტრადიცია, სამხედრო ცოდნა და აღზრდა და სალი იდეია სამშობლოს უზენაესობისა და ღვთაებრივობისა.

მთამ ჩვენ მოგვცა ოთხასი ხევსური და სტეფან-წმინდის გმირები. ჩვენ შეთვლაზე — ხევის ბერს გოგოთურ ქინქარაულს — შეეგროვებინა ვაჟკაცნი, მღვდელს ბესარიონ წიკლაურს ხახმატის ხატზე და ლაშარის ჯვარზე დაეწყალობნა, დაელოცნა და გამოეგზავნათ ბარში. მცხეთას ელოცნათ ღმერთი, სვეტი ცხოვლის ძირში ეთიათ ღამე და მოვიდნენ, როგორც თვითონ ამბობდნენ, „კრწანისის სინახავათ", თუმცა ჩვენ საიუნკრო ყაზარმებში მოვათავსეთ, სასწავლო ბატალიონთან ერთათ. იყო ასეთი მაგალითი: პარეკა ქინქარაული 60 წ. მოხუცი ჩამოვიდა თავისი ორი შვილით. ჩვენს მაშინდელ „უარმიო შტაბს" კარგათ ახსოვს ისინი და მათი საქმენი. პირველი ყარაული, რომელიც კი ჩაუდგა სახელმწიფოს ცეიხგაუზებს — ეს ხევსურები გახლდენ. ჩვენ შტაბს და აფიცრობას და, ალბად ზოგიერთ გახულიგანებულ ჯარისკაცსაც, კარგათ ახსოვს უზომო მხარ ბეჭიანი, ჩასხმული ნადული რკინასავით, აწ განსვენებული, ბათირა არაბული. გვახსოვს სურათი, რომლის მედიდურობა გვხიბლავდა და იმედებს გვაძლევდა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ-კი მწარე სევდას გვიშლიდა და გაბოროტებულ ღვთისა და ადამიანის დამვიწყებელი ბრბოს შურისძიებით გვემუქრებოდა. აი, ამ პირველს ყარაულს იმ კარიბჭეზედ, რომლის ზევიდამ იყო და არის წარწერა „ქართულ კორპუსის შტაბი" — შემოეხვია ოომოცამდე გაბოლშევიკებული ჯარისკაცი და უნდოდათ მისი მოხსნა რადგან „თავისუფალ ჯარს", მათის აზრით, ნამდვილათ კი ავაზკთა ორგანიზაციას ყარაული არ შეეფერებოდა, გაბოგირდა გმირი, იძრო ხანჯალი (თოფი არ ჰქონდა ჯერ მიცემული) და გმირულის განწირვით თვით ბრბოზე იმოქმედა. „ჰა ავაზაკნო და დიაცნო, - დაჰყივლა ბათირამ — უწინ დაგელევათ დღე — სანამ ბათირას ცოცხალს დიაცის მანდილს დაჰხურავთ. რაის აყვე დრით სამშობლოს? მტერს გამოექეცით, თქვენ ქვეყანას სცარცვავთ. იბრძოდით რუსი ნიკოლოზისთვის, თქვენ ქვეყანას კი ანგრევთ. ჩვენ ის ვაჟნი ვართ, რუსს რომ უარი ვუთხარით სამსახურზედ, მაგრამ სამშობლოს დასაცველათ კი აი გიახელით. დავლევთ ჩვენი ქვეყნის მტრის სისხლს, დავიხოცებით, შერცხვენილი კი ხევსურეთს არ ავალთ. ვაი რომ ჩვენიანის სისხლში გვიხდება ხელის შესვრა" და ამ სიტყვებით სწვდა ერთს სალდათს, ეს კარგი ჰკუის მასწავლებელი გამოდგა სხვებისათვის. იმ ღამეს ცეიხგაუზის კარზედ პირველი თოფიც გავარდა ბათია ქინქარაულისა. მასთან მოყარაულე მოსწავლე ახალგაზრდობამ სამი ღამის რაინდი-ინტერნაციონალური სამება (ქართველი, რუსი და სომეხი) შეიპყრო ამოაბმანეს ყაზარმაში. ეს თითქოს პატარა საქმეა — მაგრამ გარდატეხის დატა გახლავთ და ეს დატა ჩვენ ცხოვრებაში აი ამ ხევსურებისა და ბათალიონის ხელით დაიწერა. იმ დღიდამ დიდის ტანჯვით, მაგრამ მაინც მოვახერხეთ თქმა, რომ დოვლათი სახელმწიფოსია და მისი ცარცვა არ შეიძლება! ვაი ჩვენო დრო! — ამ უბრალო, ყოველივე საზოგადოებრიობისათვის აუცილებელ ჭეშმარიტებისათვის გმირობა იყო საჭირო!

მთელი სამი თვის განმავლობაში იმსახურა ამ ხალხმა, იმსახურა ნახევრად მშიერმა, ერთი თვის განმავლობაში სანათი არ იყო ყაზარმაში, მოკლებულმა ყოველგვარ ზრუნვას, მიუხედავათ იმისა, რომ აფიცრობა და უფროსები ყოველ ზომას იღებდენ და ძმურ ალერსს არ აკლებდენ. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ჯარი დღესაც შესაფერ ყურადღებას არის მოკლებული და ჯერ ჯერობით მას ჩვენი „იუპიტერი" არ სწყალობს.

მაგრამ იმსახურა იშვიათი მუყაითობით, ხალისით, პატიოსნებით და თავის განწირვით. უმთავრეს საწყობებში ყარაულად ისინი იყვნენ. მთელი დღევანდელი საინტენდანტო დოვლათი მათი მარჯვენით არის გადმოზიდული და მოგროვილი. ყარსიდამ მათ ზიდეს ქონება, მათი მატარებელი უკლებლივ ჩამოდიოდენ და იმ დროს სენი — გზაში რომ ყველაფერი იკარგებოდა ხოლმე — მათ მიერ წამოღებულ ქონებაზე არ მოქმედებდა. არა ერთხელ ელოდნენ მტერს ხევსურები სოღანლუღის სანგრებთან.

(დასასრული იქნება).

შ. ქარუმიძე

# მეფე ვახტანგი

## კოჭლი სონეტი.

„...ოთხშაბათსა და პარასკევსა დაჯდის მეფე დარბაზსა შინა და განაგებდა სამართალსა მცირეთა და დიდებულთა თანა.."

მემატიანე

მე შემიყვარდა ძველ წიგნების ნესტი და ჟანგი.
ვეტრფი ყოველგვარ ძველ დანაშთომს, ძველ ნატამალსა.
ახ, ნეტამც იმ დროს, როცა სწერდა „დასტურლამალსა"
მეფე ვახტანგი!

ხელში კალამი. წელზე ხმალი. მკლავზე დასტანგი.
ის არც სტამბაში თაკილობდა ლურჯ ფეშტამალსა!
მაგრამ კი იყო, — როს ასმევდნენ ძმები წამალსა, —
ნატანჯ-ნათანგი!

აღარ ხარ მეფევ! და თუმც იყო სად არს მაურველი,
რომ კვლავ დარბაზით ხალხს გადასცე ხმა უშურველი!?
დავკნინდით მეფევ! სადღა ვნახავთ შენნაირ მთავრებს?—

დღეს კი ამბობენ, — და ვინ ამბობს: ლირფ-ყომარბაზი, —
რომ საჯინიბო ყოფილიყოს შენი დარბაზი
და შენივ შვილი შენს ხსენებას არცხვენს-აჯავრებს!

ს. მამულაშვილი.

# „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის" ისტორიიდან.

## III *) ოსმალეთთან მოლაპარაკება.

როგორც წინა წერილში უკვე იყო ნათქვამი, ჩვენმა კომიტეტმა გადასწყვიტა ოსმალეთთანაც კავშირის დაჭერა. ამ საქმისთვის ჩვენ ავირჩიეთ დელეგატათ იგივე ლეო კერესელიძე, რომელსაც დავავალეთ სტამბოლს წასვლა ოსმალეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად გერმანიის ელჩის შუამავლობით.

ეს ის დრო იყო, როდესაც ოსმალეთი ჯერ ომში არ გაბმულიყო, მაგრამ უკვე ემზადებოდა საომრათ. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ის მიემხრებოდა გერმანიას და მის მოკავშირეს და გაილაშქრებდა რუსეთის წინააღმდეგ. მთელი ევროპის გაზეთები ლაპარაკობდნენ ამ საკითხზე. შვეიცარიის გაზეთი „გაზეტ დე ლოზან"-ი, სხვათა შორის, ამტკიცებდა რამდენიმე კორესპონდენციით სტამბოლიდან, რომ ოსმალეთს უკვე მზათ ჰყავს დიდი ნაწილი თავის ჯარისა გერმანიის სამხედრო მისიის ხელმძღვანელობით გაწრთვნილი, რომლითაც აპირობს კავკასიისკენ გალაშქრებას; გაზეთი სწერდა, რომ ოსმალეთს თვალი უჭირავს თბილისზე. ლაპარაკობდა აგრეთვე იმას, რომ ოსმალეთი ბალკანეთის ზარალს კავკასიით აინაზღაურებსო.

ჩვენ მიზნათ დავისახეთ ოსმალეთთან ისე შევთანხმებულიყავით, რომ თუ, ვინიცობაა, ოსმალეთი კავკასიას წაართმევდა რუსეთს, საქართველო თავისუფალ სახელმწიფოთ გამოცხადებულიყო და ერთი მონობიდან მეორე მონობაში არ ჩავარდნილიყო.

*) ნახეთ „კლდე" № 5.

საქართველოს თავისუფლების გამოცხადებაზე გერმანია თავიდანვე დაგვთანხმდა, თურქები კი ამბობდნენ, რომ ისინი თავის თავს მოვალეთ არ ჩასთვლიან საქართველო თავისუფლათ აღიარონ, თუ რუსებს კავკასიას თავის საკუთარი ძალით წაართმევენ, ქართველების დაუხმარებლათ. ჩვენმა დელეგატმა გაუთვალისწინა ის გარემოება, რომ ოსმალეთ სთვის არ უნდა იყოს სასურველი რუსეთის სახელმწიფოსთან მოსაზღვრეობა, რადგან ეს მოსაზღვრეობა ოსმალეთს კეთილს არას უქადის, რისი მაგალითებიც აქამდის ბევრი იყო.

მაგალითად გზების საკითხი ანატოლიაში. თუ ოსმალეთსა და რუსეთს შორის ბუფერი სახელმწიფო იქნება, როგორც საქართველო, მაშინ ოსმალეთი უშიშრათ რუსეთისა გაიყვანდა გზებს, რასაც აქამდის ვერ აკეთებდა და ამით ფერხდებოდა ოსმალეთის დიდი ნაწილის ეკონომიური განვითარება. ამას გარდა, თუ კი ოსმალეთი კავკასიას წაართმევდა რუსეთს და აღიარებდა საქართველოს თავისუფლებას, მაშინ ქართველი ერი არ დაივიწყებდა ამ დავალებას და იქნებოდა მის მეგობრათ. ოსმალეთის მთავრობამ მიიღო მხედველობაში ჩვენი დელეგატის მოსაზრებანი და ბოლოს გამოაცხადა თანხმობა საქართველოს თავისუფლების აღიარებაზე; ახლა კი წარმოსდგა საზღვრების საკითხი. ჩვენი დელეგატი, კომიტეტის დავალებით, მოითხოვდა საქართველოსთვის მის ისტორიულ რეალურ ტერიტორიას, სადაც შედიოდა როგორც საქრისტიანო, ისე სამაჰმადიანო საქართველო. ოსმალეთი კი სამაჰმადიანო საქართველოს თავისთვის იტოვებდა.

რადგანაც ამ საკითხზე შეთანხმება ვერ მოხდა, ჩვენმა დელეგატმა შესწყვიტა მოლაპარაკება და სტამბოლიდან წასვლა დააპირა, მაგრამ მაშინ საქმეში ჩაერია გერმანიის ელჩი ვანგენჰეიმი და მან იკისრა მორიგება და მოგვარიგა კიდეც იმაზე, რომ საქართველოს და ოსმალეთს შორის საზღვრათ რუს-ოსმალეთის 1914 წლის საზღვარი რჩებოდა.

ამ შეთანხმების შემდეგ გადასწყვიტეს საიდუმლო კონტრაქტის შემუშავება. ამაზე შემდეგ.

ნესტორ მაღალაშვილი.

# გიორგი მაჩაბლის წერილიდან

ვენიდან რ. გაბაშვილის სახელზე გამოგზავნილ წერილში გიორგი მაჩაბელი ამბობს:

„...ეცადეთ ჯარი, ჯარი შეადგინოთ საჩქაროთ, დაუყონებლივ; უჯაროდ დავიღუპებით; ამაზედ ძალა უნდა დაატანოთ; მთავრობამ მოიწვიოს საჩქაროთ გერმანელი ინსტრუქტორები და მოახდინოს საერთო მობილიზაცია; წითელი რაზმები ან საჩქაროდ უნდა გარდაქმნილიყოს რეგულიარულ ჯარად, ან სრულიად მოსპობილი; დროა რევოლიუციურ ბავშურ ფრაზებს ბოლო მოეღოს და სერიოზულ საქმეს მოვკიდოთ ხელი.

აგრარული საკითხიც აქაურ მთავრობებს არ ეპაშნიკებათ; ბოლშევიზმს ეძახიან და ამიტომ ჩვენ წინააღმდეგ ვიმხედრებთ; ყველა მინისტრები, ვინც კი ვინახულე, პირველი მათი საკითხი აგრარულ რეფორმის შესახებ იყოო"...

# მიწის საკითხი

## მიხეილ მაჩაბლის სიტყვა *)

ბატონებო, ჩვენს მთავრობას და იმ პარტიას, რომელიც სათავეში უდგას საქართველოს, თავი მოაქვს იმით, რომ გამოსცეს მიწის დეკრეტი და ამ დეკრეტით გლეხობა უზრუნველ ჰყვეს.

ბატონი მინისტრთა თავმჯდომარე დიდის რიხით ბრძანებს: „ძლიერი სახელმწიფო უნდა იყოს დამყარებული ძლიერ გლეხობაზეო".

დიახ, ეს მართალია. მაგრამ სწორეთ მოგახსენოთ, მიწის დეკრეტი კი არ აძლიერებს გლეხკაცობას, არამედ ასუსტებს სოფლის მეურნეთ და მათ შორის ასუსტებს გლეხობასაც (სიცილი მემარცხნე სკამებზედ). სიცილი მერე იყოს....

განა შეუძლიან იმ პარტიას, რომელსაც ეკუთვნიან მინისტრთა თავმჯდომარე და მიწათ-მოქმედების მინისტრი, გააძლიეროს სოფლის მუშა — მეტოქე ქალაქის მუშისა, რომლის ძალღონეზე ამყარებს თავის სიძლიერეს სოციალ დემოკრატიული პარტია?! განა ამ ჩვენ მინისტრებს შეუძლიანთ გააძლიერონ ის სოფლის მუშა, რომელიც არის საძირკველი ნაციონალ დემოკრატიულ პარტიისა?! ვინ არ იცის, რომ მესაკუთრე გლეხ-კაცობა შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ ბურჟუაზიულ წესწყობილებით და ეს ხომ თქვენი, სოციალ-დემოკრატების, საქმე არ გახლავთ, არამედ ეს არის სწორედ ჩვენი, ნაციონალ-დემოკრატების, საქმე.

სოციალ-დემოკრატები ამ საქმეს, ამ მიწის დეკრეტს სულ სხვა-გარნირით აზავებენ, ისეთ საეჭვო გარნირით, რომ მართლაც გეგონებათ — სოფლის გლეხ-კაცი და ქალაქის მუშა თითქო ერთი და იგივე იყვეს ჩვენი მთავრობისათვის. მე კი მგონია, რომ ჩვენი გლეხკაცობა მონგოლების შემოსევის დროსაც ისე შებოჭილი არ ყოფილა, როგორც შებოჭილია ეხლა მთავრობის კომისრებით, კომიტეტებით, მილიციით და წითელი გვარდიით.

ჩვენ ვამბობთ: მიწა მიეცით გლეხ-კაცს სრულ საკუთრებათ. თქვენ კი გლეხებს კომიტეტების სახით ახალ მებატონეს უჩენთ სოფლის მუშაკთ და ამ ახალ მებატონესათვის ამზადებთ სასოფლო გვარდიას, რათა გლეხ-კაცი მონად ჰყოთ იმ საადგილმამულო კომიტეტებისა, რომელიც ჩვენ ქვეყანას ასე ძვირად უჯდება და კისერზე აწვება სოფელს და სოფლის მეურნეს.

თქვენ რომ მიჰყიდოთ გლეხს მიწა, როგორც ამას ჩვენი, ნაციონალ დემოკრატების, პროგრამა თხოულობს, გლეხი მადლობელი იქნება, და ხაზინა დაიბრუნებს თქვენს ბონებს, რომელსაც დღითიდღე ფასი ეკარგება და ამასთანავე ჩამოშორდება სოფელს კომიტეტები, რომელიც მძიმე ტვირთათ დააწვა გლეხობას (ტაში).

უცნაური ამბები მოვისმინეთ მეორე მინისტრს. მიწათ-მოქმედების მინისტრმა განაცხადა: მიწის დეკრეტმა მიწის მეურნეობა არამცთუ არ დასცა, არამედ დიდად ხელი შეუწყოვო; საქართველოში მიწა სულ ერთიანად გადახნულიაო; ერთი დეკრეტით, ერთი სიტყვით, ჩვენი გამოჩენილი მინისტრის წყალობით მეურნეობა აყვავებულა და აღდგენილა. ამისთანა მაგალითი ჯერ არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა.

ბოდიშს მოვიხდი, გავკადნიერდები და მოგახსენებთ ერთს: თუ ჩვენი მინისტრი წევრია სასურსათო კომიტეტისა, მაშინ დასაჯერებელია ისიც, რომ მიწათ მოქმედების მინისტრს წილი უდევს მიწის გადახნაში. გეკოდინებათ ყველას, სასურსათო კომიტეტი ცდილობს იაფი სურსათი მოუპოვოს ხალხს, სასურსათო დაწესებულება ებრძვის უსურსათობას; მაგრამ, მიუხედავათ ამისა — ფუთი პური თორმეტი — თხუთმეტი თუმანი ფასობს, და რა თქმა უნდა ასეთ პირობებში, როდესაც ერთი დღიური პურით დათესილი მიწა მხვნელ-მთესველს უქადის ოთხას-ხუთას თუმანს, მთელ საქართველოში მიწა გადახნული უნდა ყოფილიყო. ეს არის მიზეზი მიწების მოხვნისა და არა დეკრეტი. ფუთი პურის ფასი რომ სამი აბაზი, 60 კაპიკი, ყოფილიყო და ამასთანავე მინისტრს კიდევ ხუთი ამისთანა „კარგი" დეკრეტი გამოექვეყნებინა, ვინმე მოხნავდა თუ არა მიწას?!... (სიცილი, ტაში).

აი როგორი განმარტებით ცდილობს ჩვენი მთავრობა დაადასტუროს ის, რის დამტკიცება ყოვლად შეუძლებელია.

საჭიროა გამოვარკვიოთ ვითარება ჩვენი სოფლისა და სულის კვეთება სოფლის მუშისა. მე ეხლა მოგახსენებთ სოფელში სოციალისტობის გავრცელებაზედ. ჩვენმა სოციალისტებმა სოფლელები დაარწმუნეს, რომ ისინი სოციალისტები არიან, სოფელმა [illegible]

ან როგორ [illegible] რომელსაც სოციალისტობა [illegible] ყველასათვის ასეთი ხელსაყრელია.

როგორც მორწმუნე კათოლიკე ამ რამდენიმე ასი წლის წინეთ დარწმუნებული იყო, რაკი ინდულგენციას იყიდი და — ეპატიებოდა ყოველივე ცოდვები და დანაშაული, ისე ჩვენში, რა კი სოციალისტათ ჩაირიცხები, მაშინ არც მოლალაქე ხარ, არც ბურჟუი, არც მემამულე, არც „ზუბრი" (ტაში, სიცილი).

რაკი თავად-აზნაურები სოციალისტები არ არიან, ისინი, რასაკვირველია, მოღალატენი არიან.. ხალხის თვალში ხომ ისინი დიდი ხანია ყოველ გვარ უბედურობის სათავეთ და მიზეზათ არიან მიჩნეულნი. თუ ღარიბი იყო გლეხი, ამის მიზეზათ მიაჩნდათ თავად-აზნაური; არ იძიებდენ, თუ რამდენად მართალი იყო ეს რწმენა: მართალია მას მიწა ეჭირა, მაგრამ დიდ უმრავლესობას სულ რაღაც ორი — ათი დესიატინა თვითეულ ოჯახს და ამ მიწის გამო ის მიჩნეული იყო ავაზაკათ და ყოველ გვარ სიბოროტის სათავეთ ნოე ჟორდანიას კი, რომელსაც გაცილებით მეტი მიწა აქვს და აზნაურიცაა, პატიოსან კაცს ეძახიან, რადგან ის ამასთანავე სოციალისტია.

დიახ, სოციალისტობა ჩვენში კაცს უქადის ყოველგვარ სიკეთეს, სიამოვნებას და ამიტომ ყველას ენატრება იგი...

ბატონმა ირაკლი წერეთელმა, რომელმაც ლაჩრობა დაგვწამა, ბევრი ისეთი რამ მიკიბ-მოკიბო, რომ, სწორეთ მოგახსენოთ, არ შეეფერებოდა მის განთქმულს სახელს და სარანდეს. მაგრამ, ნათქვამია, გაჭირვება მაჩვენე — გაქცევას გაჩვენებო. ბატონმა წერეთელმა ისიც განაცხადა, რომ მათი (ს. დ.) საქმე არ არის ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აღმშენებლობა. მაშ რათა, რისთვის კისრულობთ ამისთანა შეუფერებელ და თქვენთვის მძიმე მოვალეობას? ბატონი წერეთელი ამ უცნაურს მოვლენას იმით ამართლებს, რომ ჩვენი ბურჟუაზიული პარტია, ჩვენი ბურჟუაზია ისე სუსტია, რომ ვერ შესძლებს სახელმწიფოს აშენებლობასო. ეს საქმე ჩვენი საქმე არ არისო, ბრძანებს იგი, თქვენი საქმეო, მაგრამ სუსტნი ხართ და თქვენი საქმე ჩვენ უნდა ვაკეთოთო.

მადლობას მოვახსენებთ დიდს და ურჩევთ სოციალისტებს თავის ბანაკში ნუ იყოლიებენ ნამდვილ ბურჟუებს: სახლის პატრონებს, ბანკირებს, კაპიტალისტებს, მემამულეთა და ბევრ ამ გვართ და მაშინ ბურჟუაზიული პარტია საქართველოში ისე სუსტი აღარ იქნება. ბატონებო, ჩამოთვალეთ ის ბურჟუები, რომელიც თქვენ სოციალისტებს ამოკვეთილნი და მაშინ აღარ ვიქნებით მცირე რიცხოვანი. დღეს კი თქვენ შორის ბევრით მეტია ბურჟუები, ვიდრე ჩვენ შორის. თქვენთან იქნებიან, სამაგიეროთ, სოციალისტ რევოლიუციონერები, რომლებიც ამ ბოლო დროს ჩვენშიაც გაჩნდნენ. რის სოციალისტები ბრძანდებით, სახლების ყიდვა, მამულების ყიდვა თქვენში მოიკითხეთ; რაკი სოციალისტობა კარგი ხილია, ბანკირებიც კი თქვენში ჩაეწერნენ, თქვენში მოექცნენ და ვილა დარჩა ჩვენ ბანაკში. ჩვენში ვინ ჩაეწერება თქვენგანი, ჩვენ ამა ქვეყნის ბედნიერებას ვერავის ვპირდებით.

იძულებული ვარ შევეხო ამიერ საქართველოს სოფელს. იმიერი სოფელი მეტად განსხვავდება ამიერ საქართველოს სოფელთან. ამიერი გლეხ კაცის ფსიქოლოგია, ხასიათი ძალიან განსხვავდება იმიერ გლეხის ფსიქოლოგიისაგან. გლეხკაცი იმერეთში გაბატონებულია სრულიად, უზრუნველყოფილია და ამასთან ვემიწის მესაკუთრეა. იქ მეურნეობაც დღითიდღე ვითარდება. იქ სათემო მიწისმფლობელობა აღარა სუფევს და კერძო საკუთრება ჩამოყალიბებულია სავსებით.

სულ სხვაა აქიერი გლეხკაცის მდგომარეობა. ბევრმა არც კი იცის, რომ ჩვენში ბევრ ალაგას დარჩენილია სათემო მიწისმფლობელობა. მართალია, ზოგან, მაგალითად ქართლში, სათემო ცხოვრება დარღვა, დაიბადა მიწის საკუთრება, მაგრამ ეს მფლობელობა მიწისა ჯერ მტკიცედ არ დამკვიდრებულა, არ ჩამოყალიბებულა ისე, როგორც იმიერ საქართველოში.

ვინც სოციალისტ-რევოლიუციონერების და სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამას იხიარებს და ელტვის მიწის სოციალიზაციას, მან უნდა შეადაროს იმიერის და ამიერის გლეხკაცთა ეკონომიური მდგომარეობა და დარწმუნდეს, რომ კერძო საკუთრება ჩვენ ქვეყანაშიაც ბევრით მეტს ბედნიერებას ანიჭებს სოფლის მეურნეს, ვიდრე მიწის სათემო მფლობელობა. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ის მოვლენა, რომ იმიერი საქართველო დღეს ბევრით განვითარებულია და ისეთ უნუგეშო მდგომარეობაში არ იმყოფება, როგორც ამიერი საქართველო. იქ სოფლის მეურნე სულ სხვა პირობებში იმყოფება და აქ სულ სხვაში. იმიერ

*) ეს სიტყვა ნათქვამი იყო ერთიანულ საბჭოში (პარლამენტში) მთავრობის დეკლარაციის განხილვის დროს; ამ სიტყვას ინტერესი აქვს იმ ახალ რეფორმების გამო, რომელსაც ამზადებს მიწათ-მოქმედების სამინისტრო.

გლეხ-კაცთა და ყოფილ თავად-აზნაურთა შორის ბევრით უკეთესი განწყობილებაა, ვიდრე ამიერ გლეხ-კაცთა და მემამულეთა შორის.

ამიერ გლეხ-კაცს ვერ გაუწია მეზობლობა დიდ მამულების მესაკუთრე თავად-აზნაურობამ, რომელიც რუსის მთავრობამ გადააგვარა და სწორედ ისე მოექცა, როგორც უფრო ადრე ექცეოდა გავლენიან თავად-აზნაურობას სპარსეთის მთავრობა. დღეს ეს თავად-აზნაურობა გარუსებულია. თუ ვისმე ჰგონია, რომ მათ ვინმე გამოესარჩლება, დიდად სცდება.

ღარიბი **თავად-აზნაურობა** კი იმდენად ღარიბი იყო უფლებრივადაც და ქონებრივადაც, რომ ზოგჯერ უფრო უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე საშუალო ქონების გლეხ-კაცობა. ოჯახიშვილებს ხომ არაფრით არ შეედრებოდა. ღარიბი თავად-აზნაურობა ფაქტიურად კანონ გარეშე იყო დარჩენილი. სოფლის მართვა-გამგეობაში იმას არავითარი ალაგი და უფლება არა ჰქონდა, წოდებრივ თავად-აზნაურთა დაწესებულებაში მონაწილეობას ვერ ღებულობდა, რადგან არ ჰქონდა არც განათლება, არც ჩინი და არც შესაფერი ტანთსაცმელი. ეს დიდი რიცხვი პროლეტარულ თავად აზნაურობისა იმყოფებოდა და ცხოვრობდა საშინელ პირობებში. გლეხ-კაცთა და ამ უმწეო თავად-აზნაურთა შორის ღვითი ღლე განწყობილება მწვავდებოდა. როდესაც იწერებოდა გაზეთებში წერილები და მიტინგებზე ჰქადაგობდნენ თავად აზნაურთა წინააღმდეგ და ყოველ უბედურობას ამ წოდებას აბრალებდნენ, სოფლებში უპირველეს ყოვლისა სწორედ ეს გაღატაკებული თავად-აზნაურობა ხდებოდა პასუხის მგებელი. დაბალი ლობე ეს იყო და ყოველგვარი სოფლის მოხელე და მოღვაწე ამ უბედურთ გადალახვას ლამობდა. ამას ყველა დიდ მამულიშვილურ საქმეთა სთვლიდა. ყველას ეგონა თავად-აზნაურთა მოსპობით სოფელში ყოველგვარი სიკეთე დამყარდებოდა.

მესამე ჯგუფს თავად-აზნაურობისას წარმოადგენდნენ საშუალო ქონების მემამულენი და როგორც გამონაკლისი თითო-ოროლა დიდი და წვრილი მემამულენი. ეს ჯგუფი იყო ერთად ერთი, რომელიც დიდს კულტურულ ძალას წარმოადგენდა ჩვენის ქვეყნისას., შეძლებით და გვარად ესახურებოდა თავის ოჯახს, ახრებულ მამულ-დედულს და სამშობლოს კეთილდღეობას შეჰხაროდა. ამიერი ინტელიგენცია თითქმის სულ ამ ჯგუფის ოჯახობას ეკუთვნის. ამ ნაწილმა თავად-აზნაურობისამ დაიცვა თავისი თავი გადაგვარებისაგან და თავისი მამული აუარებელ გარეშე და შინაურ მტრებისაგან. ტიწების გადამიჯვნის დროს დიდი ენერგია და ქონება იხარჯებოდა, აგრეთვე სამოქალაქო სასამართლოში და ადმინისტრატიულ დაწესებულებაში აუარებელი ხარჯი ეჭირვებოდა ყოველგვარ დავას მიწის შესახებ. სწორედ ეს ჯგუფი ებრძოდა მთავრობას და ემსახურებოდა ყოველ გვარ სამშობლოს კულტურულ ძალლონეს და დაწესებულებას. ამ ჯგუფმა დიდი ქონება შეჰქმნა სამშობლოს საბედნიეროთ და ეს თავისი წოდებრივი ქონება უკვე გადასცა ეროვნულ საბჭოს და მტკიცე საძირკველი ჩაუყარა სამშობლოს თავისუფლებას.

მიწის დეკრეტი მთელის თავის სიმძლავრით სწორედ ამ თავად-აზნაურობას დაეცა; ამათი მიწა-წყალიც, ჯაფაც, ქონებაც და კულტურაც ისხვერპლა და გაანიავა ამ გასაოცარმა დეკრეტმა და ამასთანავე სახელმწიფოს არაფერი არ შესძინა; ხოლოდ სამშობლოსათვის საზარელო და მოამაგე მშრომელი ხალხი დაღუპა და გახელა.

მე ვგონებ, სახელმწიფოში არავისა აქვს უფლება და ნება უსავოდ დაისაკუთროს სხვისი მოძრავ-უძრავი ქონება; ჩვენ ვამბობთ არ შეიძლება სახელმწიფომ ჩაიდინოს ყაჩაღობა. რა ნება აქვს მთავრობას უსასყიდლოთ რომელიმე მესაკუთრეს 7—15 დესეტინაზე ზედმეტი მამული წაართვას და თავისად ან თავის მომხრეთა სასარგებლოთ გამოაცხადოს. მიწათმოქმედების მინისტრი ბრძანებს: ჩვენში ინტენსიური მეურნეობა არ იყოო, ჩვენი მუშა უბრალო მუშა არისო, იგი არ იშველიებს საჭირო მანქანებს და ცოდნასაო. ის ამასთანავე ღვთის ანა არა არისო, როდესაც სეტყვა მოდისო. და ამიტომ, მინისტრის აზრით, დეკრეტმა არამც თუ ინტენსიურ მეურნეობას ბოლო არ მოუღო, არამედ სწორედ ამ დეკრეტით მიწის შემუშავება გააუმჯობესაო. ჯერ შევეხოთ ამ ნორმას, რომელიც ალიარებულია დეკრეტით: გადაწყვეტილია, მაგალითად შვიდი დესეტინის ნორმის შერჩენა. რათა, რა მოსაზრებით 7 და არა 10—ხუთი, ანუ მეტი, ანუ ნაკლები?! ეს არავინ დღესაც არ იცის. ვინახს რომ ჩამოსჭრიან შვიდზედ მეტ დესეტინას, რატომ ჩამოჭრილი ვენახის, ეგე იგი ვაზის ანუ ხეხილის ჩაყრისათვის დახარჯულ ფულს არ უბრუნებენ მამულის პატრონს. ეს ხომ შრომის და მოძრავი ქონების მითვისება არის? რაკი ადამიანს შრომის ფასს, ვაზის, ხეხილის საფასურს და სხვა დანახარჯს არ აძლევენ, აქაო და შვიდ დესეტინაზე მეტი რად შეიმუშავეო, განა შეიძლება დავვარწმუნოთ, რომ ამისთანა კანონით ძირი არ ეთხრება ინტენსიურ მეურნეობას. განა შეიძლება ხალხის გულდაჯერებული მუშაობა, როდესაც სახელმწიფოში შრომა და შრომის ნაყოფი უზრუნველ ყოფილი არ არის? განა ხალხი ენდობა ისეთ მთავრობას, რომელიც პირობების შეცვლისამებრ შესცვლის ნორმას: დღეს თუ ბატონი ნოე ხომერიკი ნორმათ 7 დესეტინას გამოაცხადებს, ხვალ მეორე ვინმე ამ ნორმას სამად შესცვლის და მიითვისებს ოთხი დესეტინის შრომას და ქონებას. ამიტომ, ვამბობთ ჩვენ, დეკრეტმა მოსპო მიწისათვის კაპიტალი, დიახ, კაპიტალი და კეთილშობილი და მცოდნე მუშა. თუ თქვენ ისიც განახორციელეთ, რომ ვისაც ბარი და თოხი ხელში არ ეჭირება-მიწას არ აკუთვნებთ და არ ამუშავებთ სოფელში, მაშინ პირუტყვ საქონელსავით უნდა შეამზადოთ მიწის მუშები.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ ბოლომდის გადამავალს კერძო საკუთრების მოვლობილებისა. თქვენ კი ეუბნევით ხალხს: აი კომიტეტი მოვა, ის ჩამოართმევს თავად-აზნაურობას ნორმაზე ზედმეტ მიწას და მოგცემთ თქვენ იჯარით. ასე რომ გლეხ-კაცობა ბატონ-პატრონი კი არ იქნება თავის თავისა და თავის მიწისა, არამედ გახდება მონა მთავრობისა; თქვენ კარგად მოგეხსენებათ თუ რას ნიშნავს მთავრობის მონობა, თუნდაც სოციალისტური იყოს იგი. ყოფილი თავად-აზნაურობა რა ძალას და რა საშიშროებას წარმოადგენდა გლეხკაცობისათვის, თქვენ და ყველამ კარგად იცით და ისიც მოგეხსენებათ, რა ძალას წარმოადგენს ახალი ბატონი სოფლისა. ყოფილ თავადს რა შეეძლო? არაფერი; სულ სხვა არის თქვენი კომიტეტი, მილიცია და წითელი გვარდია.

ხელახლა უნდა გადასინჯვა მიწის დეკრეტს ამ საკითხის გადაწყვეტის დროს პარტიებმა შენ-ჩემობა უნდა დასთმონ; ეს დიდი საქმეა და ყველამ ხელი უნდა შეუწყოს მიწის საკითხის ხალხის საკეთილდღეოთ გადაწყვეტას.

გარდა ამისა, ამ საქმეს უნდა შეუკავშიროთ კოლონიზაციაც. რუსის მთავრობა საქართველოში მუდამ ცდილობდა უცხოელების ჩასახლებით ჩვენი ქვეყანა მოსახლეობით აევრელებინა და მიწის უქონლობით ხალხი უმწეო მდგომარეობაში ჩაეყენებინა. ამას, რა თქმა უნდა, დღეს ალაგი არ ექნება.

ჩვენში უწინ ამიერ ქართველთა გადმოსახლებას არ თანაუგრძობდნენ და ამ ფრიად დიდ საქმეს ხელს არ უწყობდნენ. თითონ ამიერთაც არა სურდათ აღმოსავლეთ საქართველოში დასახლება, ეს მოვლენა დიდს უბედურობას წარმოადგენდა და წარმოადგენს ჩვენ სამშობლოსათვის, რომლის აღმოსავლეთ ნაწილში ვინ არ გინდათ, რომ არ დასახლდა ამ მოვლენამ ქართველთა მოსახლეობა შეასუსტა და აავრელა ამიერ საქართველოს არავითარი შიში არ მოელის მეზობლებისაგან და ამიტომ ამიერი გლეხ-კაცობა, რაც შეიძლება მეტი, უნდა გადმოსახლდეს აქეთ, რომ ჩვენი სამშობლო დავიცვათ ყველა თავდამსხმელთაგან; უკანასკნელნი დიდი ხანია ცდილობენ ჩვენი სამშობლოს განაპირა ქვეყნები ხელიდან გამოგვაცალონ.

მიწის დეკრეტში მთიელთათვის ნორმათ 30 დესიატინაა აღიარებული და თუ, მართლა, ამ ოცდაათ დესიატინაზე ზედმეტი მიწა ჩამოერთვა მთიელ მეურნეს, უნდა ვაცოდეთ მაშინ, რომ მთაში ვერავითარი მეურნეობა ველარ მოეწყობა და საქონელიც მთელ ამოსწყდება. 30 დესიატინა მთაში პირდაპირ დაუჯერებელი და შეუძლებელი ნორმაა.

გარდა ამისთანა გაუგებრობისა, განა შესაძლოა არ ვიზრუნოთ სოფლის მეურნეთა ჩამომავლობაზედაც. თუ შვიდ დესეტინიან მეურნეს შვილი ან არ მიეცა, ან ერთის მეტი არ ჰყავს, კიდევ კარგი, და, თუ დაწვრილშვილდა, მაშინ რას გაუხდება ეს შვიდი დესეტინა?...

ჩვენი ფინანსიური სისტემაც მოწესრიგებას საჭიროებს. ქაღალდის ფულების ბეჭდვით ფონს ვერ გავალთ. მიწის საკითხს მტკიცე კავშირი აქვს ფინანსიურ ვითარებასთან და ამას მთავრობა არ უნდა ივიწყებდეს.

დასასრულ მოგახსენებთ, სამაზრო მამულთა კომიტეტები უნდა მოისპოს, რადგან ესენი ზედმეტ ხარჯად ედება მომავალ თავისუფალ მიწის მესაკუთრეს. მომავალში ხომ ამ კომიტეტების შესანახი ხარჯი მიწამ უნდა გადაიხადოს.

თქვენ სოციალ-დემოკრატებმა სოფლიდან განდევნეთ თქვენი აგენტების მეტოქენი ყოფილი თავად აზნაურები; ერთი სიტყვით, სოფელს მოაშორეთ ამიერ საქართველოს ინტელიგენცია და ამით უფრო უმწეო მდგომარეობაში ჩააყენეთ უღარიბესი ნაწილი გლეხობისა. ამიერ სოფლებში მიწას დაეპატრონა მდიდარი გლეხ-კაცობა. ჩვენში ვისაც ხარ-კამეჩი არა ჰყავს და ნივთიერათ ძალა არ შესწევს, მიწას ვერ მოხნავს, ვერ დაეპატრონება. სახაზინო გლეხ-კაცთა ცხოვრების გამოკვლევის დროს 1885 წელს, მაგალითად, სოფელ მარტყოფში, სადაც სათემო მიწის მფლობელობაა და დრო გამოშვებით მიწა მეკომურთა შორის იყოფება, 774 კომლიდან 300 კომლამდე იყო ისეთი გლეხ-კაცობა, რომელთაც არავითარი სახნავი არა ჰქონდათ და ეს გლეხ-კაცობა, ეს სოფლის პროლეტარიატი ცხოვრობდა მოჯამაგირეობით შეძლებულ გლეხკაცებთან. თითქმის ყოველ ამიერ სოფელში ალაგი აქვს ამ მოვლენას. ყოფილი თავად-აზნაურებიც ამ ღარიბ გლეხ კაცობის შემწეობ თ ეწეოდა თავის მეურნეობას სოფელში და ეს იყო დიდათ ხელსაყრელი ბოგანო გლეხკაცობისათვის, რადგან მემამულეთა და შეძლებულ გლეხ კაცთა შორის მუდმივი მეტოქეობა იყო და შრომის ფასი ამ მეტოქეობით მატულობდა დღითი დღე. რაკი მემამულენი ჩამოაშორა სოფელს დეკრეტმა და ანარქიამ, ღარიბი სოფლის მუშა მთლად ხელთ იგდო შეძლებულმა გლეხ-კაცობამ, რომელიც უპირველესი მტერია ყოფილ მემამულეთა.

თუ მთავრობა ამ გლეხ-კაცობას მიწას საკუთრებათ არ გადასცემს და მოიჯარადრეთ იყოლიებს, ეს გლეხ-კაცობა მთავრობის მტრათ გადაიქცევა და ჩვენ სახელმწიფოში ანარქია გამეფდება. თუ მართლა მთავრობას სურს თავისი მოქმედება ძლიერს გლეხ-კაცობაზე დაამყაროს, სეიმის-მიერ ხუთს წუთში მიღებული მიწის დეკრეტი უკან უნდა წაიღოს და მიწის საკითხი ხალხის საკუთრებად გადაწყვიტოს კერძო საკუთრების აღიარებით.

მთავრობასა და მთავრობის პარტიას ჰგონია, რომ ჩვენ პორთფელების სურვილი გვალაპარაკებს. ღმერთი—რჯული ეგრე არ არის. როდესაც მოვისმენთ ისეთს ლაპარაკს ჩვენის მინისტრებისას, როგორც დღეს და გუშინ, ჩვენც გამოვალთ და ჩვენს სიტყვას ვიტყვით. შეისმინეთ კარგია—არ შეისმინეთ და თქვენი ნებაა, მომავალი გვ-ჩვენებს ვინ არის მართალი (ტაში).

# ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ.

## ᲡᲝᲪ. ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ს.-ფ. სარევოლუციო პარტიის მუშების გაზეთი: ს. ფედერალისტი სწერს:

„კონფერენცია მეტად მღელვარე იყო. ის აზრთა შებრძოლება, ის ცხოველი ლაპარაკი, ის ტემპერამენტის ზოგჯერ შეუკავებლობა, ნათელი მაჩვენებელი იყო იმის, რომ პარტიის წევრებს მეტად უყვარს ის პრინციპები, რომლისთვის სამსახურიც მიზნად დაუსახავთ რა უყოთ, რომ კამათში კიჟინი ისმოდა, რა უყოთ, რომ იქ ყველა ორატორი დაუნდობელი იყო, ეს ცუდი როდია. ჭეშმარიტებას დაუნდობლობა უყვარს.

კონფერენციაზე შეებნენ ერთი მეორეს ურყევლობა და დათმობა, იმედის სიძლიერე და სისუსტე, პარლამენტი და რევოლუცია, პოზიცია და ოპოზიცია.

მაგრამ ამ საერთო პოლიტიკურ განკაში ისმოდა ერთი უძლიერესი ხმა არჩილ ჯორჯაძის უკვდავებისა, და მისი სახელის გარშემო გაერთიანებისა და განუყოფელობისა. ამ ხმამ გაიმარჯვა. და ეს გამარჯვება იმის მაჩვენებელია, რომ არჩ. ჯორჯაძის პრინციპები უნდა უცვლელნი დარჩნენ. დათმობის გზაზე დამდგარი თითო-ოროლა ამხანაგი ან უნდა მოსცილდეს ჩვენს გზას ან და ჩვენს გზაზე გამტკიცდეს. (კურსივი ჩვენია. „კ.“) ვერავითარი საშიშროება ვერ შეგვარყევს პრინციპს, ვერ დაგვიკარგავს რწმენას, ვერ დაგვაყენებს დათმობის და ოპორტუნიზმის გზაზე. ჩვენი ბრძოლის ველი ჯერ წინ არის, გამარჯვება ჩვენი მხოლოდ მომავალია. ეს ხმა უფრო მძლავრად ისმოდა“.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲐᲗᲐ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

გაზეთ „შრომა“-ში ბ-ნი ბერკეტი სწერს:

„როგორც ვიცით, ეს დაწესებულება სახელმწიფო დაწესებულებაა. ვიცით ისიც, რომ მის სათავეში სდგას „პარტიული ამხანაგი“, ცნობილი იუმორისტი კალანდაძე. გვეცნობა, რომ ხდება საგენტოს ორგანიზაცია. მე არას ვიტყვი იმის შესახებ, თუ რამდენად სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე საგენტო, როგორია მისი „ინფორმაცია“, ან ვინ დირიჟორობს ეხლა იქ. ამაზე ცალკე იქნება ლაპარაკი.

აქ მინდა ხაზი გავუსვა იმ მოვლენას, რომ საგენტო, როგორც სახელმწიფო დაწესებულებათა უმრავლესობა გადაქცეულია სოც.-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციად და ასრულებს სოც.-დემ. საოლქო კომიტეტის ბრძანებას. საგენტოს ჰყავს სპეციალური კაცი, რომელიც, სხვათა შორის, იძლევა პარლამენტის ანგარიშებს. ეს კაცი თუ მას ესმის რა არის სახელმწიფოებრიობა, რა არის პარლამენტი, ან რა არის ეთიკა - ვალდებულია მიუდგომლად დასწეროს ყოველი ორატორის სიტყვა პარლამენტში.

მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვხედავთ.

სოციალ-დემოკრატიას ეს საგენტოც ბრძოლის იარაღად აქვს გადაქცეული და ხალხის ხარჯით ისინი აკეთებენ თავის კერძო, პარტიულ საქმეს. საგენტო ბეჭდავს თავის დეპეშებში მხოლოდ სოც. დემ. ორატორების ვრცელ სიტყვებს. და ასეთ დეპეშებში ჩვენი გაზეთები 200—300 მ. იხდიან თვიურათ. სხვა პარტიის ორატორების სიტყვებს ვერ ნახავთ ორ სტრიქონზე მეტს—თუნდაც მან ორ საათიანი სიტყვა წარმოსთქვას პარლამენტში. რისთვის ხდება ეს, ჩვენთვის დიდი ხანია გამორკვეული და აშკარაა.

და სამართლიანია ის გულისწყრომა, რომელიც გამოწვეულია საგენტოს მოქმედებით ჟურნალისტთა წრეებში და დანარჩენ პარტიათა შორის. სამართლიანი აქნება აგრეთვე ის ნაბიჯიც, რომლის გადადგმასაც ფიქრობენ გაზეთები: დაარსონ კერძო საგენტო და ბოიკოტი გამოუცხადონ საქ. დეპ. საგენტოს ტენდენციური ცნობების მოწოდებისათვის.

მე მგონია საგენტოს ასეთი „მდგომარეობა“ იცის მთავრობამ...

ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს, რომ საქმე უფრო არ გართულდეს“.

# ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

(„კლდის“ მკითხველთ ლატარიის გამო).

ახლად აღდგენილი საქართველოს სახელმწიფო ჯერ კიდევ არ მოღონიერებულა ისე ფინანსიურად, რომ მარტო სახელმწიფო ხარჯთ აღრიცხვით გაუძღვეს ისეთ ეროვნულ საკულტურო დაწესებულებებს, როგორიცაა ქართული უნივერსიტეტი და თეატრი.

ამიტომ უნდა ვისარგებლოთ იმ ხუთმილიონიანი ლატარიით რომელიც ჯერ კიდევ მაშინ იყო განზრახული საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ, როცა ამიერ-კავკასიის მთავრობა არსებობდა.

ეს ლატარია არის ამ ჟამად საუკეთესო საშუალება, რომ საზოგადოებრივი ქონებრივი დამყარება აღმოვუჩინოთ უნივერსიტეტისა და თეატრის საქმეს.

მომგებიანი ლატარია საუკეთესო ფორმა არის, რომლითაც ფართო საზოგადოებას, და მთელ ხალხს შეუძლია მიაწოდოს თავისი წვლილი ქართული კულტურის მესვეურ დაწესებულებებს.

ხუთი მილიონიანი ლატარიის შემოსავლიდან იმ ნახევარ მილიონის გარდა, რომელიც მომგებიან ბილეთების პატრონთ ერგება, ნახევარი წმინდა შემოსავლისა გადაეცემა ქართულ უნივერსიტეტს ხელუხლებელ თანხათ, ნახევარიც გადადებული იქნება ქართული თეატრის შენობის ასაგებად და ხუთი პროცენტი მოგებისა კი მსახიობთა კავშირისათვის გადაიდება.

ამიტომ მოვუწოდებთ „კლდის“ მკითხველთ ხელი შეუწყონ იმას, რომ მომგებიან ბილეთების ხათრით ქართულმა ლატარიამ ხალხის გულიც მოიგოს!...

# ქ რ ო ნ ი კ ა

✦ დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატების საპარლამენტო ფრაქციისა და მთავარი კომიტეტის მორიგი კრება შესდგება დღეს, რედაქციაში, 7 საათზე.

✦ ნიკო ნიკოლაძე ბერლინიდან თბილისს დაბრუნდა და საგანგებო მოხსენებით წარუდგა საქართველოს პარლამენტს გერმანიასთან დადებულ ეკონომიურ ხელშეკრულებათა შესახებ, რომელიც ძალაში შესულია 1 ოქტომბრიდან.

✦ ოფიცრობა და პოლიტიკა. სოციალისტ ოფიცერთა კრება, რომლის შესახებ მოთავსებული იყო პროტესტი „კლდეში“ არ შესდგა; სამხედრო მინისტრის ბრძანება მიუღია კრებისა თავის დაშლილიყო, რადგან ჯარში პარტიული კრებები აკრძალულია კანონით.

✦ მცხეთაში სრულ იად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის მოსაყდრემ თბილელ მიტროპოლიტმა ლეონიდემ ქალაქის უმაღლეს სამღვდელოების თანამწირველობით შეასრულა მღვდელმთავრული წირვა—პარაკლისი მცხეთის ათორმეტთა მოციქულთა სვეტი ცხოვლის ტაძარში.

✦ გერმანელი ინსტრუქტორები სამხედრო ნაწილებში. სამხედრო სამინისტრომ სთხოვა გენ. ფონ-კრესს საქართველოს სამხედრო ნაწილებში დანიშნოს გერმანელი ინსტრუქტორები.

✦ შვეიცარიის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოში. როგორც „ბორბა“ გადმოგვცემს, შვეიცარიას თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი დაუნიშნავს საქართველოში.

## პატარა ფელეტონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ძღვნად

ქართველ ხალხს

მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენი!

ჩვენს მმართველობას

ლაპარაკით ფლავი არ გაკეთდება:
ბრინჯი და ერბოა საჭირო.

ჩრდილოეთიდან დაბრუნებულებს

...არიან ჩვენში დღეს ყმაწვილები,
შორიდან თუმცა ბევრს გვინათებენ,
მაგრამ ახლოს კი დალოცვილები
ფუტუროსავით ვერას გვარგებენ!..

სასურსათო საქმის რეორგანიზაციის გამო

გინდ გაცხრილეთ, გინდ გამტკიცეთ,
ის დარჩება, რაც არიო.

მენშევიკებს

...მოასპარეზეთ ვინ მჯობსო,
ცუდილა უკუ თქმანია,
და თქვენზე მსჯავრის დამდები,
მთელი ქვეყნისა ხმანია...
ირ. წერეთელი.

სხვაგან ჰქრის მისი გონება, მისმან
თავისა წონამან,
არცა დაავდო ჩხიკინი, ველარცა
შეიგნო რა მან!..

გომახურელი

✦ დატუსაღებული თავად-აზნაურები. შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით გაანთავისუფლეს ვ. ბაგრატიონ-დავითაშვილი, ივანე ბეგთაბეგიშვილი და ალ. დეკანოზიშვილი, რომელნიც „საგანგებო რაზმის“ განკარგულებით იყვნენ დატუსაღებულნი.

— ამავე საქმისათვის დაატუსაღეს გრიგოლ იოსების ძე ჯავახიშვილი.

✦ სომხების ჩასახლება ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. ამ დღეებში ტფილისის სომეხთა ეროვნულ საბჭოს თავის სხდომაზე უთათბირნია იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენონ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, რომელნიც საქართველოს კვლავ დაუბრუნდა ოსმალეთის მიერ. როგორც გავიგეთ, საბჭოს გადაუწყვეტია, ის სოფლები, რომელთა ცხოვრებნიც აწიოკდნენ და განადგურდნენ, შეავსონ და დაასახლონ ლტოლვილი სომხებით, რომელნიც ამ ჟამად ტფილისის მახლობლად მე-300 ვერსზე იმყოფებიან.

— საქართველოში სომეხთა ნაციონალურ საბჭოსთან არსებულ ლტოლვილთა განყოფილების გაზის ცნობით, საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში იმყოფება 150000 ლტოლვილი.

✦ საქართველოს ისრაელთა საკითხი. მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას წარუდგა ქუთაისის ქართველ ებრაელთა დეპუტაცია და განუცხადა, რომ ისინი ქართველებათ სთვლიან თავის თავს და ამის გამო თავის წარმომადგენელს არ ირჩევენ ეროვნულ საბჭოში, ვინაიდან სრულ ნდობას უცხადებენ საბჭოს ქართველობის წევრებს.

✦ მილოვის გაჩხრეკა. საგანგებო რაზმმა გაჩხრიკა ცნობილ ტფილისელ ვაჭრის ა. ნ. მილოვის ბინა.

✦ მთიულები ჯარის შესახებ. ერთობის კორესპონდენტი იტყობინება, რომ მთიულეთში „ბევრმა სრულებით არ იცის ვინა ჰკრეფს ჯარსა. „ჯერ ხომ მეფე არ გამოჩენილა, რად გვინდა ჯარიო“. გლეხებს ჯარი უმეფოთ ვერ წარმოუდგენიათ. ჯარის მოგროვება ცარიელი ბრძანებითა და ყვირილით, როგორც ზოგი ჰფიქრობს, არ შეიძლებაო“.

✦ შალვა ქარუმიძემ წაიკითხა საჯარო ლექცია თელავში და შემდეგ მოხსენება პარტიულ ორგანიზაციის კრებაზე საპარლამენტო ფრაქციის ტაქტიკის შესახებ.

✦ ანარქია გაზეთში. 15 ამ თვეს სოფ. ბაკურციხეში 10 შეიარაღებულმა ყაჩაღმა დაატყვევა მიხეილ ვაჩნაძე და ილიკო აფხაზი და გაანთავისუფლა 10.000 მანეთის მიღების შემდეგ.

✦ დაზარალებულ თავად-აზნაურობის დახმარება. მთავრობას საგანგებო კომისია შეუდგენია, რომლისთვისაც დაუვალებია ყოველ მხრივ გამოარკვიოს, არა უგვიანეს ორი კვირისა დღეიდან, საკითხი დახმარების აღმოჩენისა, როგორც ყველა უწყების მოსამსახურეთა და მათ ოჯახთათვის სხვა და სხვა შემთხვევების გამო, აგრეთვე იმ პირებისთვისაც, რომელნიც პოლიტიკური ბრძოლის თუ სხვა მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დაზარალდენ და საჭიროებენ დახმარებას სახელმწიფოს მხრივ. როგორც გადმოგვცემენ, უკანასკნელ კატეგორიაში ნავულისხმევია დაზარალებული თავად-აზნაურობაც.

## შეკითხვა 30 მილიონის

### სალიკვიდაციო ფონდის ბედის შესახებ.

დამოუკიდებელ-ნაციონალ-დემოკრატიულ ფრაქციამ შემდეგი შეკითხვა შეიტანა საქართველოს პარლამენტში:

„იღებს თუ არა მთავრობა და სახელმწიფო კონტროლიორი ზომებს იმ 30 მილიონის ფონდის ანგარიშებ-ს გამოსარკვევად, რომელიც გამოგზავნილი იყო რუსეთის რესპუბლიკის მიერ საგანგებო სამხედრო კოლეგიის განკარგულებაში, კავკასიის ფრონტის ლიკვიდაციისათვის; რომლის ანგარიშები შესაძლოა საქართველოს ხაზინას მოეკითხოს; და რომლის დანარჩენი თანხა—რამოდენიმე მილიონი ამ ჟამად თბილისის მუშათა და სალდათთა საბჭოს ხელში გადასულა და სოციალ-დემოკრატიულ პარტიულ საქმეებზე იხარჯება-ო."

## საქართველოსა და გერმანიის ეკონომიური ხელშეკრულობანი. *)

### I. ფოთში დადებული, საზოგადო.

რადგან საქართველოს მთავრობამ გადასწყვიტა მოლაპარაკების გამართვა გერმანიის მთავრობასთან სესხის შესახებ, საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი გარეშე საქმეთა მინისტრი ბატონი აკაკი ჩხენკელი და გერმანიის მთავრობის წარმომადგენელი გენერალ მაიორი ბავარიის სამეფო სამსახურში მყოფი ბატონი ფონ-ლოსოვი შეთანხმდნენ შემდეგში პირველ მნიშვნელობის ეკონომიურ საკითხთა და სესხის მოსაწესრიგებლად.

მუხლი I

საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ ყველა არსებული ან შემდეგში გაყვანილი რკინის გზები საქართველოს ტერიტორიაზე შეადგენს სახელმწიფოს საკუთრებას და ამ გზების ექსპლოატაცია, აგრეთვე მათი მეთვალყურეობა ეკუთვნის მხოლოდ სახელმწიფოს. აგრეთვე ფოთის ნავთსადგური, რომელიც ქალაქის საკუთრებას შეადგენს და ეს უკანასკნელი განაგებს მას, გადადის სახელმწიფოს გამგეობაში.

თუ საქართველოს რკინის გზათა და აგრეთვე ფოთის ნავთსადგურის შემოსავლით იქნება უზრუნველყოფილი ასეულ სესხის პროცენტები, მაშინ დაწესდება გერმანულ-ქართული კომისია, რომელსაც დავალებული ექნება კონტროლი გაუწიოს რკინის გზათა და ფოთის ნავთსადგურის ექსპლოატაციას.

მუხლი II

საქართველოს მთავრობა ვალდებულია კანონიერად გადასცეს სახელმწიფოს მთელი სამთო მრეწველობით დამუშავებული მადნეულობა საქართველოს მიწიდან ამოღებული, და დამუშავება მათი გადასცეს მხოლოდ სახელმწიფოს კონტროლ ქვეშ მყოფ წარმოებას, რომლის აქციები ეკუთვნის საქართველოსა და გერმანიას სანახევროდ.

ამ მიზნისათვის საქართველოს სამთო კანონმდებლობით გამოიცემა სათანადო განკარგულებანი სამთო წარმოებათა გამოსასყიდათ, რომელნიც ეხლა წარმოებაშია, აგრეთვე სამთო სიმდიდრეთა დამუშავების უფლებათა გამოსასყიდათ; გამოსყიდვა მადნის დამუშავების არსებულ უფლებათა, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა თავისუფალ შეთანხმებით მოხდეს წარმოების პატრონთან. საქართველოს მთავრობა ვალდებულია არ შეზღუდოს სამთო სამრეწველოს ნაწარმოებ მადნის გაზიდვა არც აკრძალვით და არც გასაზიდავ ბაჟით.

მუხლი III

საქართველოს მთავრობა ვალდებულია მთელის ომის განმავლობაში მხოლოდ გერმანიას მისცეს ნება საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ნედლი მასალის ყიდვისა, რაც ქვეყნის შინაურ საჭიროებას გადარჩება, და არ დააბრკოლოს ამ მასალის გაზიდვა ან აკრძალვით, ან განსაკუთრებულის ბაჟით.

მუხლი IV

გერმანია ვალდებულია რაც შეიძლება ჩქარა მოაწყოს გემთა მიმოსვლა გერმანიასა და საქართველოს შორის, რაც შეძლებისდაგვარათ გააადვილებს მზა და ნახევრად დამზადებულ საფაბრიკო საქონლის შემოტანას საქართველოში, და შესაძლებელი გახადოს საქართველოში ცხოვრებისათვის საჭირო სურსათის შემოტანა.

ამის დასამოწმებლად ამ შეთანხმებაზე საკუთარს ხელს აწერენ სრულუფლებიანი წარმომადგენელნი: ა. ჩხენკელი ფ. ლოსოვი.

ფოთი 28 მაისი
1918 წ.

*) ვბეჭდავთ ბერლინის კორესპონდენტის გადმოცემით. ამას გარდა ბერლინში ხელმოწერილია ოთხი სპეციალური ხელშეკრულება: შაეიქვის, ჭიათურის რკინის გზისა, ფოთის ნავთსადგურისა და 50 მილიონი საგარეო სესხის შესახებ. ეს ხელშეკრულობანი ცალკე იქნება დაბეჭდილი „კლდე"ში. რედ.

### II. ბერლინში დადებული საზოგადო:

საქართველოს მთავრობა, რომლის წარმომადგენლებიც არიან გარეშე საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი და დელეგაციის წევრები დოქტორი ნ. ნიკოლაძე და დოქტორი თავ. ზურაბ ავალიშვილი, ერთის მხრივ, და გერმანიის სახელმწიფო მდივანი სახელმწიფო სამიწათმოქმედო გამგეობისა მისი ამხანაგის დოქტორი გოპპარტის პირით მეორეს მხრივ, შეთანხმდენ შემდეგში იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომელნიც დადებულია „საქართველოს სამარგანეცო სააქციონერო საზოგადოებისა", „ჭიათურის რკინის გზის სააქციონერო საზოგადოებისა" და „ფოთის ნავთსადგურის საექსპლოატაციო სააქციონერო საზოგადოების" დასაარსებლად საქართველოს მთავრობასა და შემდეგ გერმანულ ფირმათა შორის:

1) „გერმანია ლიუქსემბურგის სამთო მრეწველობისა და სამადნო სააქციონერო საზოგადოება", რომლის წარმომადგენლები არიან სამთო მრეწველობის დირექტორი ასესორი ი. ფ' ელმან ვანცელი, 2) „კრუპპის სააქციონერო საზოგადოების ფირმა", რომლის წარმომადგენელი არის ასესორი დოქტორი მაქს ვომბერგი, 3) „გელზენკირხენის სამთო-მრეწველობის სააქციონერო საზოგადოება გელზენკირხენი", რომლის წარმომადგენელია დირექტორი გუგო შაივარი, 4) „სააქციონერო საზოგადოება ჰამბორნი" რომლის წარმომადგენელია ფრიც ტისსანი, 5) „სამთო მრეწველობის და სამადნო სააქციონერო საზოგადოება ობერჰაუზენი", რომლის წარმომადგენელია დირექტორი ოტტო ჰოლცი, და 6) „კავკასიის სამადნო საზოგადოება ჰამბურგი", რომლის წარმომადგენელია სიგიზმუნდ ვერნდა.

§ I

საქართველოს სახელმწიფოს ექნება სახეში ადგილობრივ კანონების გამოცემა, რათა აწესრიგოს სახელმწიფოს წყლების სარგებლობა სამთო მრეწველობის მიზნებისათვის ამ მრეწველობის საჭიროებათა თანახმად.

§ II

შეფარდებას და გამოყენებას წყლის საჭირო ძალთა ენერგიისას ფერრომარგანეცის გამოსადნობად და სხვა ფერრომარგანცურ ნადნობთათვის და სხვა მარგანეცურ შენართთათვის საქართველოს მთავრობა მისცემს იმავე წრეთ და აგრეთვე სხვებს, უპირატესად გერმანელებს, იმავ საფუძველთა ძალით, რომელზედაც მოწყობილია ქართული სამარგანეცო საზოგადოება.

§ III

ზევით ჩამოთვლილ ხელშეკრულობათა დადებასთან ერთად, პირველი შეთანხმება 1918 წლის მაისის 28-ა, რომელიც დაემატა ქალაქ ფოთში მომხდარ ხელშეკრულობას, დადებულს გერმანიის საიმპერატორო მთავრობისა და საქართველოს მთავრობის შორის, ძალას არ ჰკარგავს.

§ IV

სამიწათმოქმედო ს მინისტრო (სამიწათმოქმედო სახელმწიფო გამგეობა) იტოვებს 40% იმ კაპიტალისას, რომელიც ეკუთვნის გერმანულ კაპიტალს ფოთის ნავთსადგურის საექსპლოატაციო სააქციონერო საზოგადოებას სამარგანეცო ვაჭრობიდან, აგრეთვე სხვა სამრეწველო და სავაჭრო სახაისნო საზოგადოებიდან, და თვითონ ტვირთულობს კაპიტალის განწესებას.

§ V

მარგანეცი, რომელიც შეძენილია ბერლინის სამარგანეცო საზოგადოების მიერ და არ არის გატანილი ამა წლის 1-ელ ოქტომბრამდე, შეიძლება გატანილ იქნას დაუბრკოლებლივ ამ საზოგადოების მიერ შემდეგშიაც. ამ მარგანეცის რაოდენობაზე არა ვრცელდება „საქართველოს სააქციონერო საექსპორტო საზოგადოების" მონოპოლიური უფლება; მაგრამ მარგანეცი და მარგანეცული კონცენტრატები, რომელიც გაიზიდება ბერლინის სამარგანცო საზოგადოების მიერ 1918 წლის 1 ელ ოქტომბრის შემდეგ, იბეგრება სრულად ყველა იმ გადასახადებით, რომელსაც ახდევინებენ ქართულ სამარგანეცო საზოგადოებას და ფოთის ნავთსადგურის საექსპლოატაციო საზოგადოებას იმდენად, რამდენადაც იგი ისარგებლებს შორაპან-ჭიათურა-საჩხერის რკინის გზით, აგრეთვე იმ გადასახადებით, რომელიც ეძლევა ამ საზოგადოებებისაგან საქართველოს სახელმწიფოს. ფოთის ნავთსადგურის ტერიტორიით და გადაზიდვის მოწყობილობით სარგებლობაში, აგრეთვე ფოთის ნავთსადგურის საექსპლოატაციო საზოგადოების დახმარებისათვის უნდა გადახდილ იქმნას ხოლმე ამისათვის დადგენილი გადასახადები.

საქართველოს მთავრობა სცნობს ამ ხელშეკრულობებს თავისათვის სავალდებულოდ მაშინ, როცა შესდგება შეთანხმება სესხის თაობაზე, რომლის შესახებ სწარმოებს ეხლა მოლაპარაკებანი, და როცა გამოირკვევა საქართველოს რესპუბლიკის და გერმანიის იმპერიის პოლიტიკური დამოკიდებულებანი.

## რუსეთისა და გერმანიის ხელშეკრულობა

### საქართველოსა და კავკასიის შესახებ.

გერმანიის გაზეთი „ნორდდეიტშე ალგემაინე ცაიტუნგ" დაბეჭდილია ბრესტის ხელშეკრულობის დამატება, ბერლინში ხელმოწერილი, რომლიდანაც მოგვყავს ის ნაწილი, რომელიც საქართველოსა და კავკასიას შეეხება.

თავი II

#### რუსეთის სახელმწიფოდან გამოყოფის შესახებ

§ 4. რამდენათ ბრესტის ხელშეკრულობაში ან ამ დამატებაში არ არის დადგენილი სხვა ნაირად, იმდენათ გერმანია არას გზით არ ჩაერევა რუსეთის სახელმწიფოსა და მის ცალკე მხარეთა შორის დამოკიდებულებაში; მაშასადამე გერმანია განსაკუთრებით არც გამოიწვევს და არც ხელს შეუწყობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა აღმოცენებას ამ მხარეებში

თავი V

#### რუსეთის შავი ზღვის პირ მხარის შესახებ კავკასიის გამოკლებით.

§ 11. რამდენათ ამით არ დაირღვევა მეთორმეტე მუხლის დადგენილობანი, გერმანია იმ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ, რომელიც უნდა დაიდვას რუსეთსა და უკრაინის შორის, დაცლის კავკასიის გარედ მდებარე შავი ზღვის-პირ მხარეებს.

§ 12. სანამ დონეცის ბასეინი თანახმად მე-11 მუხლის და მე 12 მუხლის პირველ აბზაცისა, გერმანიის ჯარებით იქნება დაკავებული, მანამ რუსეთი მიიღებს აქ ამოღებულ ქვა-ნახშირიდან ყოველ თვე სამჯერ მეტს ტონნას, იმ ტონნათა რიცხვთან შედარებით, რა ტონნათა რიცხვსაც რუსეთი უთმობს გერმანიას ბაქოს მხარის ნავთის პროდუქტებიდან (თანახმად მე 14 მუხლის მეორე აბზაცისა) და ოთხჯერ მეტს ტონნას იმასთან შედარებით, რამდენი ტონნა ბენზინიც იქნება ამაში; რამდენათ დონეცის მხარეში ამოღებული ნახშირი არ ეყოფა ამას ან და სხვა მიზნისათვის იქნება გამოყენებული, იმდენათ იგი იქნება შევსებული გერმანულ ნახშირით.

თავი VI

#### კავკასიის შესახებ.

§ 13. რუსეთი აცხადებს თავის თანხმობას, რომ გერმანია აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას.

§ 14. საქართველოსა და იმ ოლქებს გარეშე, რომელიც საზავო ხელშეკრულობის მესამე პარაგრაფის მეთხე მუხლშია მოხსენებული, გერმანია არ დაეხმარება არც ერთ მესამე სახელმწიფოს სამხედრო გამოსვლას კავკასიაში.

გერმანია ხელს შეუწყობს იმას, რომ მესამე სახელმწიფოს ჯარებმა არ გადალახონ კავკასიაში ქვემო აღნიშნული საზღვრები მდ. მტკვრის სათავიდან პეტროპავლოვსკის მიდამომდე; აქედან შემახის მაზრის საზღვარზე აგრიოშის მიდამომდე; შემდეგ პირდ პირი ხაზი იმ ადგილამდე, სადაც ერთდებიან საზღვრები ბაქოსა, შემახისა და ყუბის მაზრებისა და კიდევ ბაქოს მაზრის ჩრდილო საზღვარი—ზღვამდე.

რუსეთი შესაძლებლობის ფარგალში ხელს შეუწყობს ბაქოს რაიონში ნავთის დამუშავებას და მეოთხედ ნაწილს დაუთმობს გერმანიას, საგანგებო დადებულ პირობის ძალით, ყოველ თვე არა ნაკლებ ცალკე აღნუსხულ ტონნისა. თუ ბაქოს რაიონში დამუშავებული ნავთის რაოდენობა არ იქნება იმდენი, რაც აღნიშნული იქნება ან და სხვა საჭიროებისათვის დაიხარჯება, ის რაოდენობა უნდა შევსებულ იქნას სხვა ადგილიდან დამუშავებული ნავთით. ფასი ნანგარიშევი იქნება იმ ნახშირის საფასურის მიხედვით, რომელიც რუსეთმა უნდა მიიღოს მესამე პარაგრაფის მეთორმეტე მუხლის თანხმად, დანარჩენი კი იმ საქონლის ფასის მიხედვით, რომელიც რუსეთმა უნდა მისცეს გერმანიას რუსეთ-გერმანიის საფინანსო შეთანხმების მეორე პარაგრაფის მესამე მუხლის ძალით დღეის რიცხვიდან.

## მეურნეობის კრიზისი

### სახელმწიფო მამულების გაპარტახება კახეთში

პარლამენტის წევრის კ. ანდრონიკაშვილის მოხსენებით, რომელიც მან სასოფლო კომისიას წარუდგინა, შედეგები მიწათმოქმედების სამინისტროსგან დავალებულ რევიზიისა კახეთის სახელმწიფო მამულებში შემდეგია; რევიზიის მიზანი იყო იმის გაგება, იღებს თუ არა ადმინისტრაცია მამულებისა რაიმე ზომებს სამეურნეო კულტურის ასამაღლებლად და მამულების შემოსავლის გაზრდისათვის; და თუ ეს შეუძლებელია, რევიზიას უნდა გამოერკვია შესაძლებელია თუ არა ამ მამულების აყვანა იმ დონემდე, რა დონეზედაც ისინი კონფისკაციამდის იყვნენ.

მამულების მოურავებთან მოლაპარაკების დროს რევიზორს გამოურკვევია, რომ არავითარ გაუმჯობესებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. მამულების მეურნეობა პროგრესიულად, თან და თან ეცემა, ამის მიზეზები ბევრია. ჯერ ერთი ის, რომ მიწები არ იყო თავის დროზედ მოხნული და დათესილი. მერე ის, რომ მამულებს აკლია აუცილებელი სამეურნეო იარაღი და მასალა, მაგალითად—შაბიამანი. ძალიან უშლის ხელს აგრეთვე მუშა ხელის სიძვირე.

მაგრამ ყველაფერი ეს რომ მოწესრიგდეს, სულ ერთია, მამულების მეურნეობის დაყენება შესაფერ დონეზე მაინც შეუძლებელია. ამის მიზეზია 8 საათის სამუშაო დღის წესი, რაც მოფლად ყოვლად ბეუძლებელია. ყოფილა შემთხვევა, რომ სწორედ გასხვლის დროს, [illegible] სტოვებდნენ [illegible] პროფესიულ [illegible] რძობენ 8 საათის სამუშაო დღის განხორციელებას, მაშინ უნდა მეორე რიგი მუშაობისა შემოვიღოთ, თორემ კულტურული მამულები სულ დაიღუპებაო.

დიდი ხელის შემშლელი არის აგრეთვე ყველა მამულებში არსებული მუშათა კომიტეტები, რომელნიც ერევიან მოურავების ადმინისტრატიულ განკარგულებებში და არღვევენ მუშაობის ნორმალურ წესებს. მაგალითად, მუშათა კომიტეტებმა მოსპეს ზედამხედველთა ინსტიტუტი, რის გამოც მუშები სულ უკონტროლოდ დარჩენ და მუშაობენ ძლიერ ცუდათ; წინად ვალდებულნი იყვნენ მამულების დაცვაში მიეღოთ მონაწილეობა; ახლა კი ინვენტარს არავინ დარაჯობს და სახალხო ქონება იფლანგება; არც ერთი იარაღის დატოვება ყანაში არ შეიძლება ამიტომ, მუშები კი იმ ნახევარ საათს, რაც სახნისის შინ მიტანაზე მიდის, იმასაც 8 საათის სამუშაო დღეში სთვლიან; ამიტომ მთავრობამ უნდა მიიღოს რაზმები მოაწყოს მამულების დასაცავად.

დიდი ვენახები მუკუზანისა, ნაფარეულისა, ზეგანისა სულ მთლად არეულია. ლერწამი დაძველდა, და არავინ სცვლის. მცოდნე პირების თქმით, ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ ეს დიდი მამულები რომელიმე სპეციალისტს გადაეცეს იჯარითო.

#### ჩვენს კორესპონდენტს

რედაქცია სთხოვს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლის მეურნეობის კრიზისს და აგრარულ რეფორმის განხორციელებას.

**რედაქტორი:** გრიგოლ ვეშაპელი.
**გამოცემა:** მთავარ კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციისა.

დაიბეჭდება ნაწერები:

გრიგოლ ვეშაპელის

**„ნაციონალ-დემოკრატიული პარტია"**

ფასი 15 შაური

დავით ვაჩნაძის

**„მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია"**

ფასი 15 შაური

წიგნების საწყობი: „კლდის" კონტორაში

**საქართველოს მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა კავშირის საბჭო**

ამით აცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღება და კავშირში წევრად ჩაწერა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარიატინსკის დაღმართი № 5. სამეურნეო საზოგადოების შენობაში. მუდამ დღე 11—1 საათამდე, კვირა უქმის გარდა.

**ქართული ლატარიის პირობანი:**

1. გამოცემულია ორასი ათასი ბილეთი, ხუთი მილიონი მან. ღირებულობისა, ოთხას სერიად. ყოველ სერიაში ხუთასი ბილეთია. თითო ბილეთში ხუთი კუპონია. ბილეთი ოცდახუთი მ ნ. ღირს. კუპონი ხუთი მან.

2. მოგების დასაფარავად გადადებულია ნახევარი მილიონი მანეთი, და მოგებათა რაოდენობა ნაწილდება ამ გვარად.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მოგება | 100.000 | მან. | 100.000 | მან. |
| 1 | „ | 50.000 | „ | 50.000 | „ |
| 1 | „ | 25.000 | „ | 25.000 | „ |
| 2 | „ | 10.000 | „ | 20.000 | „ |
| 3 | „ | 5.000 | „ | 15.000 | „ |
| 5 | „ | 1.000 | „ | 5.000 | „ |
| 50 | „ | 500 | „ | 25.000 | „ |
| 180 | „ | 250 | „ | 45.000 | „ |
| 2150 | „ | 100 | „ | 215.000 | „ |

სულ 2393 მომგები ბილეთი 500.000 მ.

3. ბილეთის ან კუპონის პატრონი ის არის, ვისაც ბილეთი ან კუპონი ხელში აქვს. არავითარი განცხადება ბილეთის ან კუპონის დაკარგვის შესახებ შეწყნარებული არ იქნება.

4. ლატარია გათამაშებული იქნება 25 დეკემბერს 1918 წ. და დაესწრებიან წარმომადგენელნი: საქართველოს ეროვნული საბჭოსი, უმაღლესი მთავრობისა, ტფილისის ქალაქის თვითმმართველობისა, სახელმწიფო და ამიერ-კავკასიის ბანკებისა; ლატარიის მომწყობი საბჭო და გამგეობა.

5. მოგების ნუსხა გამოცხადებული იქნება გაზეთებში. ამის შემდეგ მოგების მიღებად უნდა წარმოადგინონ ამიერკავკასიის ბანკში, ტფილისში, თავის ნომრიანი ბილეთები ან კუპონები მეპატრონეებმა ხოლო მოგების მიიღებენ არა უგვიანეს 30 დღისა.

6. ვინც მოგების ნუსხის გამოცხადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ წარმოადგენს თავის მომგებიან ბილეთს ან კუპონს, მისი ხვედრი მოგება შემოწირულებად ჩაითვლება.

**ახლად მოწყობილი სტამბა**

**„ხელოვნება"**

იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს და ასრულებს სწრაფად და საუკეთესოდ დაკლებულ ფასებში. ველიამინოვის ქ. № 20. (ყოფილი სტამბა ობოროტი).

ექიმი **დ. ჯავახიშვილი**

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე კვირის გარდა დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა № 41. ტელეფ. № 14—09.